

საბანომძიებო სისტემის ანალიზი

EMC

საგამოძიებო სისტემის ანალიზი

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია (სიფა)
2018

კვლევის ავტორები:

გურამ იმნაძე
თამარ გვასალია
სოფო ვერძეული
დავით კვაჭანტირაძე
დავით აბესაძე

ექსპერტები:

ქეთევან ჩომახაშვილი
რიჩარდ ვოგლერი

რედაქტორი: ნინო კალატოზიშვილი

მთარგმნელი: ქეთევან თიკანაშვილი

დამკვლევები: თორნიკე ლორთქიფანიძე

გარეკანი: სალომე ლაცაბიძე

ტირაჟი: 250

ISBN: 978-9941-27-920-1

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) წერილობითი ნებართვის გარეშე.

მისამართი: ი.აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 2 23 37 06

www.emc.org.ge
humanrightsemc@gmail.com
<https://www.facebook.com/EMCRIGHTS/>

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. ანგარიში მომზადდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWTI) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) და ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ (OSGF) ერთობლივი საგრანტო პროექტის ფარგლებში. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორი ორგანიზაციები. იგი არ წარმოადგენს ამერიკის მთავრობის ოფიციალურ მოსაზრებას და არ ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, ან ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ შეხედულებებს.



სარჩევი

შესავალი	6
კვლევის მეთოდოლოგია	9
ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები	14
1. ინსტიტუციური ანალიზი	20
1.1. შესავალი	20
1.2. საგამოძიებო ქვემდებარეობა და საქმეთა განაწილება	
ცალკეულ საგამოძიებო სამსახურებში	22
1.3. საგამოძიებო ორგანოების შიდა სტრუქტურა.....	24
1.4. პროკურორის და გამოძიებლის კვალიფიკაცია	27
რეკომენდაციები	30
2. სისხლის სამართლის პროცესის ეტაპები	31
2.1. შესავალი	31
2.2. საპოლიციო საქმიანობა და გამოძიება	32
2.3. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა	33
2.4. დანაშაულის თაობაზე ინფორმაციის სახეები.....	35
2.5. დანაშაულის შესახებ შეტყობინების რეგისტრაცია.....	36
2.6. დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გადამონმება	37
2.7. დანაშაულის სტატისტიკის გავლენა.....	40
2.8. გამოძიების დანყების შესახებ პროკურორის და განმცხადებლის ინფორმირება.....	41
რეკომენდაციები	42
3. გამოძიება და მტკიცებულების მოპოვების პროცესი	43
3.1. შესავალი	43
3.2. პროკურორის სტატუსი და მისი მონაწილეობის ხარისხი საგამოძიებო ღონისძიებებში	45
3.3. ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიების წარმართვის პროცესუალური გარანტიები	48
3.4. მტკიცებულებების გაცვლა მხარეებისთვის	50
3.5. გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის ფარგლები და მისი მიზნები.....	51
რეკომენდაციები	54
კვლევის შეჯამება.....	56

შესავალი

2009 წელს, ხანგრძლივი სამუშაო პროცესის შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა მიიღო სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი.¹ კოდექსის ძირითად ამოცანებად გაცხადებული იყო შეჭიბრებითობის, საჯაროობის, მხარეთა თანასწორობის, მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევის, ბრალდებულის უფლებათა პატივისცემისა და სხვა მნიშვნელოვანი პრინციპების დანერგვა/გაძლიერება სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში.² კოდექსის ერთ-ერთი უმთავრესი სიახლე იყო ინკვიზიციურიდან შეჭიბრებით საპროცესო მოდელზე გადასვლა, რაც გულისხმობს ბრალდებისა და დაცვის მხარეებისთვის მეტ-ნაკლებად თანაბარი ინსტრუმენტების მინიჭებას, რათა ორივე მხარეს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეეძლოთ ეფექტიანი გამოძიების წარმოება.³

ზოგადად, შეჭიბრებით საპროცესო მოდელს მეტად კომპლექსური თეორიული ჩარჩო აქვს და მასთან დაკავშირებით დღემდე აქტიური დებატები მიმდინარეობს სამეცნიერო წრეებში. მიუხედავად ცალკეულ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობისა, აღნიშნული მოდელის უპირობო უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ მის ფარგლებში ნებისმიერი პირი, მათ შორის ბრალდებულის, აღჭურვილია სამართლებრივი ბერკეტებით, ეფექტიანად წარმოადგინოს თავისი ისტორია საკუთარი პერსპექტივიდან. სახელმწიფოსა და მოქალაქის ხელთ არსებული რესურსების/ძალაუფლების უთანაბრობის აღმოსაფხვრელად კი შეჭიბრებითი მოდელი რიგ სტრუქტურულ შეზღუდვებს უწესებს სახელმწიფო მხარეს სამართალწარმოების პროცესში.

შეჭიბრებითი საპროცესო მოდელი დიდწილად ეფუძნება მე-18 საუკუნის განმანათლებლობის მოძრაობის იდეებს, რომლებიც ადამიანის უფლებებისა და პიროვნული ავტონომიისთვის მყარ თეორიულ-ფილოსოფიურ საფუძვლებს აყალიბებდა.⁴ სახელმწიფოსთვის დაწესებული ზემოაღნიშნული შეზღუდვებიც მთლიანად გამიზნულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ, ერთი მხრივ, მოქალაქის პოზიციები სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი კონკრეტულ საქმეში და, ამავდროულად, ყველა ძირითადი გადაწყვეტილება საჯაროდ იყოს მიღებული, მიუკერძოებელი მსაჯულის მიერ, რომელიც უშუალოდ იკვლევს საქმის ყველა მნიშვნელოვან გარემოებას.

1 საქართველოს პარლამენტმა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი 2009 წლის 9 ოქტომბერს მიიღო, მისი ძირითადი დებულებების ამოქმედების თარიღად კი 2010 წლის 1 ოქტომბერი განისაზღვრა.

2 იხ. კანონპროექტის განმარტებითი ბარათი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://info.parliament.ge/#law-drafting/9219>

3 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი.

4 Vogler, R. (2017). A World View of Criminal Justice. Aldershot, Ashgate, pp.136-138.

შეჭიბრებითი მოდელი სახელმწიფოსთვის სამ ძირითად შეზღუდვას აწესებს:⁵

- კანონით უნდა აღიკვეთოს სახელმწიფოს მხრიდან მის ხელთ არსებული ძალაუფლების ან მატერიალური შესაძლებლობების გამოყენება და მოქალაქეზე ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლა, რათა ამ უკანასკნელმა არასწორი ჩვენება მისცეს შესაბამის ორგანოებს;
- კანონით უნდა იყოს დაზღვეული, რომ სახელმწიფოს ხელთ არსებული დიდძალი საგამოძიებო რესურსი არ გამოიყენება უსამართლო და უსაფუძვლო პროცესის წარსამართად კონკრეტული პირის მიმართ (ცრუ ბრალდების აკრძალვა);
- ბრალდებული უნდა იყოს პროცესის აქტიური სუბიექტი და არა ობიექტი სახელმწიფო უწყებების ხელში.

აღნიშნული შეზღუდვები პირველ რიგში სწორედ გამოძიების ეტაპზე მნიშვნელოვანი და მიმართულია იმისკენ, რომ ბრალდებულს ჰქონდეს გამოძიების დამოუკიდებლად და ეფექტიანად წარმოების შესაძლებლობა. ამ ეტაპზე ასევე კრიტიკული მნიშვნელობა აქვს გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის (პროკურატურის) ორგანოების სტრუქტურულ-ორგანიზაციულ გამიჯვნას, მათ შორის შემოწმება/დაბალანსების ეფექტიანი მექანიზმების არსებობას. ინსტიტუტებს შორის ფუნქციური გამიჯვნის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ მის გარეშე სახელმწიფოს მიერ წარმოებული გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა იძენს მონოლითურ ბუნებას, რომელიც მოკლებულია ანგარიშვალდებულების ეფექტიან მექანიზმებს და სადაც მაღალია თვითნებობის რისკი.⁶

შეჭიბრებით მოდელში დაცვის მხარის უფლებების მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც და განმარტავს, რომ „დაცვის უფლების გარანტირებით კონსტიტუცია მიზნად ისახავს, პირის მსჯავრდების პრევენციას უსამართლო სამართალწარმოების შედეგად. შეჭიბრებითი სამართალწარმოების ფარგლებში აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია მხარეთათვის პირველ რიგში მტკიცებულებათა მოპოვებისა და წარდგენის მაქსიმალურად თანაბარი შესაძლებლობების მინიჭებით“.⁷ სასამართლოს პოზიციით, იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს საქართველოს კონსტიტუციის დადგენილი მტკიცებულებათა უტყუარობის სტანდარტი,⁸ აუცილებელია, მტკიცებულებების შეფასება მათი ფორმალურ-შინაარსობრივი კრიტიკის

5 Vogler, R. (2017). A World View of Criminal Justice. Aldershot, Ashgate, pp.27.

6 Ibid., pp.23ff.

7 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის #1/1/650,699 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ, 30.

8 საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლი, მე-3 ნაწილი.

საფუძველზე, „რაც საქართველოში სამართალწარმოებისთვის დადგენილი სასამართლო პროცესის შეჭიბვებითი მოდელის გათვალისწინებით, შესაძლოა, განხორციელდეს მხოლოდ ოპონენტი მხარის მიერ საპირისპირო ფაქტების და სხვა სახის კონტრარგუმენტაციის წარდგენით.“⁹

სამწუხაროდ, გემოაღნიშნული საკითხები საქართველოში ამ დრომდე არ გამხდარა სიღრმისეული კვლევისა და შესწავლის საგანი. ახალი პროცესუალური მოდელის დანერგვის მიუხედავად, არ გაანალიზებულა, რამდენად დისტანცირებულია გამოძიების პროცესში გამომძიებელი და პროკურორი ერთმანეთისგან, რა პრობლემებს შეიძლება ქმნიდეს ყოველდღიურ პრაქტიკაში პროკურორის აქტიური საგამოძიებო როლი და რამდენად არის საპროცესო კანონდებლობით უზრუნველყოფილი ბრალდებულის უფლება, რომ მან სახელმწიფო უწყებების გარეშე მოიპოვოს მისთვის საჭირო მტკიცებულებები. ამ კუთხით, აგრეთვე, საინტერესოა, რამდენად მოხდა საგამოძიებო უწყებების ადაპტირება ახალ საპროცესო მოდელთან და ცალკეული საგამოძიებო სამსახურების ინსტიტუციური და ოპერაციული მოწყობა რამდენად უზრუნველყოფს, რომ გამომძიებლებმა ღირსეულად და სათანადოდ შეასრულონ დაკისრებული მოვალეობები.

კვლევის აქტუალურობა განპირობებულია თავად საკითხის მნიშვნელობით, რადგან სამართლიანი მართლმსაჯულებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეფექტიანი საგამოძიებო სისტემის არსებობას, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება საქმის თითოეული დეტალისა თუ გარემოების ობიექტური შესწავლა/გამოკვლევა. შეჭიბვებით საპროცესო მოდელში აღნიშნული მიზანი მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუკი, ერთი მხრივ, სახელმწიფო საგამოძიებო ორგანოების საქმიანობა ექვემდებარება ეფექტიან გარეშე კონტროლს, მეორე მხრივ კი, ინდივიდს (ბრალდებულს) აქვს შესაძლებლობა, დამოუკიდებლად მოიძიოს მისთვის საჭირო მტკიცებულებები. პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ ახალი საპროცესო კოდექსის მიღების პარალელურად, არ მომხდარა ზოგადად საკანონმდებლო გარემოს მორგება ახალ სისტემასთან. ამ დრომდე ოპერატიულ-სამძებრო და საპოლიციო საქმიანობის მარეგულირებელი ნორმები რიგ წინააღმდეგობებს შეიცავს საპროცესო კოდექსის ნორმებთან. ამავდროულად, თავის მხრივ, საპროცესო კოდექსიც არ განსაზღვრავს გამომძიებლისა და პროკურორის მკაფიო როლებსა და სტატუსს გამოძიების პროცესში და მათ შორის არსებული სუბორდინაციის ინტენსივობაც, ხშირ შემთხვევაში მინდობილია პრაქტიკაზე.

წარმოდგენილ კვლევაში გაანალიზებულია ის საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც ადგენს გამოძიების წესებს, გამოძიების პროცესში ჩართულ სუბიექტებს შორის ურთიერთობებს, მათი დამოუკიდებლობის ხარისხს როგორც ერთმანეთისგან, ისე გარეშე სუბიექტებისგან. ამ კუთხით, განსაკუთრებით საინტერესოა პროკურორსა და გამომძი-

9 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის #1/1/650,699 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 42.

ებელს შორის არსებული სუბორდინაცია – კერძოდ, რამდენად მასშტაბურია გამოძიებაზე პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობა, რა ინტენსივობით შეუძლია პროკურორს, რომელიც ამავდროულად არის პროცესის მხარე,¹⁰ საგამოძიებო მოქმედებებში ჩარევა და რა სივრცე რჩება გამოძიებელს, გამოძიება ანარმოოს ყოველმხრივ და ობიექტურად. კვლევაში ასევე ყურადღება გამახვილებულია საგამოძიებო ორგანოების ინსტიტუციურ მონაცემებზე, გამოძიებლების კვალიფიკაციასა და იმ საკითხებზე, რაც არსებით გავლენას ახდენს გამოძიების ობიექტურობასა და ეფექტიანობაზე.

კვლევის მეთოდოლოგია

წარმოდგენილი ანგარიშის მიზანი არ არის გამოძიების მომწესრიგებელი კანონმდებლობისა და გამოძიების უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოების სრულყოფილი, ყოველმხრივი შესწავლა. ამ შემთხვევაში, კვლევა შემოფარგლულია სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან საქმის სასამართლოში გაგზავნის ეტაპით. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ეტაპების შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია გამოძიებლისა და პროკურორის უფლებამოსილებებზე მათ შორის არსებული სუბორდინაციის ხარისხზე საგამოძიებო/საპროცესო ღონისძიებების განხორციელებისას.

კვლევის ამ მიმართულებით წარმართვა განპირობებულია იმით, რომ არსებულ სისხლის სამართლის საპროცესო სისტემაში სწორედ ეს საკითხები ახდენს უდიდეს გავლენას გამოძიების პროცესზე, მის სრულყოფილებასა და ობიექტურობაზე, მეორე მხრივ კი, აღნიშნული თემები ამ დრომდე არ გამხდარა ფართო ანალიზისა და სიღრმისეული განხილვის საგანი. კვლევაში ასევე გაანალიზებულია არსებული საგამოძიებო სისტემა იმ დოზით, რაც საკმარისი იქნებოდა კონკრეტული საგამოძიებო სამსახურების ზოგად ინსტიტუციურ მონაცემებზე, გამოძიებლების კვალიფიკაციასა და მათი დამოუკიდებლობის ხარისხზე წარმოდგენის შესაქმნელად.

კვლევაზე ერთობლივად მუშაობდნენ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და „საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია“. ადგილობრივი კონტექსტისა და საპროცესო კანონმდებლობაში გატარებული ცვლილებების სრულყოფილად გაანალიზების, აგრეთვე, ყოველდღიურ პრაქტიკაში არსებული პრობლემების უკეთ იდენტიფიცირების მიზნით, პროექტის გუნდს ექსპერტულ დახმარებას უწევდა თავისუფალი უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ქეთევან ჩომახაშვილი. პროექტში ასევე ჩართული იყო სასექსის უნივერსიტეტის პროფესორი, რიჩარდ ვოგლერი, რომელმაც კვლევის მიზნებისთვის მოამზადა შეჯიბრებითი საპროცესო მოდელის

10 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მე-3 მუხლის მე-6 ნაწილი.

თეორიული ჩარჩოს ანალიზი, აგრეთვე, შეჭიბრებითი საპროცესო მოდელის ყველაზე დიდი ტრადიციის მქონე ქვეყნების, ინგლისის, უელსისა და ამერიკის შეერთებული შტატების რელევანტური კანონმდებლობის ანალიზი. პროფესორ ვოგლერის მიერ მომზადებულ აკადემიურ დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია, აგრეთვე, საპროკურორო და საგამოძიებო უწყებების ინსტიტუციურ მონყოლაზე.

რაც შეეხება კვლევის ინსტრუმენტებს, პროექტის გუნდი დოკუმენტის მომზადებისას დაეყრდნო კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზს, სხვადასხვა თემატურ ჯგუფთან სამუშაო შეხვედრებს, ინდივიდუალურ ინტერვიუებს გამომძიებლებთან, პროკურორებთან, აკადემიური წრის წარმომადგენლებთან, ასევე კონკრეტული უწყებებიდან გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციასა და სტატისტიკურ მასალებს, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მოსაზრებებსა და არსებული რელევანტური კვლევების მეორად ანალიზს.

კანონმდებლობის ანალიზი

კვლევის ფარგლებში სრულყოფილად გაანალიზდა რელევანტური საკანონმდებლო აქტები, რომლებიც აწესრიგებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პრინციპებს, გამოძიების პროცესს, მის ფარგლებში გამომძიებლისა და პროკურორის უფლებამოსილებებს, ამ ორ სუბიექტს შორის არსებული სუბორდინაციის ხარისხს. აგრეთვე, გაანალიზდა ის ნორმატიული/კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც აწესრიგებს კონკრეტული საგამოძიებო სამსახურების ინსტიტუციურ მონყოლას და სხვა პრაქტიკულ საკითხებს. კანონმდებლობის ანალიზი განხორციელდა რეტროსპექტიულად, შესაბამის ნორმატიულ აქტებში ბოლო წლებში შესული მნიშვნელოვანი ცვლილებების გათვალისწინებით. საერთო ჯამში, კვლევის მომზადების დროს დამუშავდა შემდეგი ნორმატიული აქტები:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- პროკურატურის შესახებ საქართველოს კანონი;
- ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი;
- პოლიციის შესახებ საქართველოს კანონი.

აგრეთვე, შემდეგი კანონქვემდებარე აქტები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულება (დებულება დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის #337 დადგენილებით);

- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის #34 ბრძანება სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო ქვემდებარეობის შესახებ;
- თითოეული საგამოძიებო უწყების შიდამარეგულირებელი აქტები, რომლებიც აწესრიგებს სამსახურების ინსტიტუციური მოწყობის საკითხებს, თანამშრომელთა შერჩევა-დანაშინის წესებს, აგრეთვე, ადგენს გამომძიებელთათვის განსაზღვრულ სავალდებულო პროფესიულ კრიტერიუმს.

სახელმწიფო უწყებებიდან მიღებული საჯარო ინფორმაცია

კვლევის მიზნებისთვის გაანალიზდა საჯარო ინფორმაციის სახით შესაბამისი უწყებიდან მიღებული სხვადასხვა სტატისტიკური ინფორმაცია, შიდამარეგულირებელი აქტები, თანამშრომელთა რიცხოვნობის შესახებ ცნობები და სხვა. კერძოდ, პროექტის გუნდმა გამოითხოვა და გაანალიზა:

- საერთო სასამართლოებიდან – ინფორმაცია პროკურორების კონკრეტული შუამდგომლობების დაკმაყოფილების თაობაზე, აგრეთვე, სასამართლო პრაქტიკა კვლევისთვის რელევანტურ საკითხებზე;
- საქართველოს მთავარი პროკურატურა – ინფორმაცია პროკურორებისა და გამომძიებლების რიცხოვნობაზე, უწყების მიერ გამოძიებულ საქმეთა რაოდენობაზე, შიდამარეგულირებელი აქტები და ხელმისაწვდომი გაიდლაინები/სახელმძღვანელო დოკუმენტები საპროკურორო დისკრეციისა თუ სხვა რელევანტურ საკითხებზე;
- საქართველოს პარლამენტი – 2009 წლის საპროცესო კოდექსის რეფორმაზე მუშაობის პერიოდში კოდექსზე მომზადებული შენიშვნები, დასკვნები, განმარტებითი ბარათები და სხდომის ოქმები;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვა საგამოძიებო უწყებები – შიდამარეგულირებელი აქტები, უწყებაში დასაქმებულ გამომძიებელთა რაოდენობა, მათი სავალდებულო კვალიფიკაციის შესახებ საკანონმდებლო მოთხოვნები, გამოძიებულ საქმეთა რაოდენობა და სხვა.

გამოთხოვილი ინფორმაციის დიდი ნაწილი უწყებების მიერ მოწოდებული იყო, თუმცა ზოგიერთ საკითხზე პროექტის გუნდს უარი ეთქვა ინფორმაციის მიწოდებაზე სხვადასხვა მიზეზით.

კვლევის ფარგლებში, აგრეთვე, შესწავლილი იყო კონკრეტული უწყებების ოფიციალურ ვებგვერდებზე არსებული საჯარო/სტატისტიკური ინფორმაცია და მასალები. ამასთანა-

ვე, მეორადად გაანალიზდა საგამოძიებო/სისხლის სამართლის მართლმსაჯულებასა და საპროცესო კანონმდებლობაზე მომზადებული რეგულაციური კვლევები და ანგარიშები.

პრაქტიკის კვლევა

გამომდინარე იქიდან, რომ გამოძიების პროცესში პროკურორსა და გამომძიებელს შორის არსებული ურთიერთობის დიდი ნაწილი ფორმალურ-სამართლებრივი დოკუმენტების „მიღმა“ წესრიგდება, პროექტის გუნდმა გადაწყვიტა, შესაბამისი პრობლემების უკეთ წარმოსაჩინად, ინდივიდუალური ინტერვიუები მოეწყო სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებთან. ამ მიზნით, პროექტის გუნდმა მოამზადა ღია და დახურული შეკითხვებისგან შემდგარი კითხვარი, რომლის გამოყენებითაც ჩატარდა ინტერვიუები მოქმედ პროკურორებსა და გამომძიებლებთან.

თითოეული ინტერვიუ წარმოებდა პირისპირ, გარეშე პირთა დაუსწრებლად და მათი დოკუმენტირებისთვის ძირითად შემთხვევაში გამოყენებული იყო აუდიო-ხმის ჩამწერი აპარატი (მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მოითხოვეს რესპონდენტებმა, ინტერვიუს წერილობითი ჩანერა). საერთო ჯამში, ინტერვიუები ჩაინერა:

- ფინანსთა სამინისტროს 3 გამომძიებელთან;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს 5 გამომძიებელთან;
- 13 პროკურორთან.

გამომძიებლების შერჩევასა და გათვალისწინებული იყო რესპონდენტების წარმომადგენლობა სხვადასხვა სამმართველოდან, რათა მათი მხრიდან განსხვავებული პრობლემების წარმოჩენის მეტი შესაძლებლობა ყოფილიყო. რაც შეეხება პროკურორებს, ამ შემთხვევაშიც, პროკურატურის ხელმძღვანელობასთან აქტიური კომუნიკაციით და ერთობლივი გადაწყვეტილებით, პროექტის გუნდი შეჯერდა რესპონდენტთა ისეთ სიაზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა სხვადასხვა ტიპის დანაშაულისა და რეგიონებისთვის არსებული სპეციფიკური მახასიათებლების გამოკვეთა.

პროექტის ფარგლებში, აგრეთვე, ჩატარდა ინტერვიუები აკადემიური სფეროს წარმომადგენლებთან, საგამოძიებო და პროკურატურის სისტემების ყოფილ თანამშრომლებთან, ასევე, იმ პირებთან, რომლებიც საპროცესო კანონმდებლობის სისტემური რეფორმირების პროცესში მონაწილეობდნენ. ჯამში ჩატარდა 8 ასეთი ინტერვიუ.

პრაქტიკის კვლევის სრულყოფის მიზნით, ინდივიდუალური ინტერვიუები დაგეგმილი იყო მოსამართლეებთანაც. სასამართლო სისტემის წარმომადგენლებთან არაერთი კომუნიკაციისა და მცდელობის მიუხედავად, სამწუხაროდ, მოსამართლეებთან ვერ მოხერხდა კვლევის ფარგლებში თანამშრომლობა.

პროექტის ფარგლებში სამუშაო შეხვედრები გაიმართა სხვადასხვა დაინტერესებულ წრესთან. კერძოდ, კვლევის პერიოდში რამდენიმე სამუშაო შეხვედრა გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც წარმოადგენენ „კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ სისხლის სამართლის ჯგუფის წევრებს. სამუშაო შეხვედრები გაიმართა, ასევე, სისხლის სამართლის დარგში მომუშავე ადვოკატებთან. აღნიშნული შეხვედრების მიზანი იყო თემებზე მომუშავე ორგანიზაციებისგან დამატებითი ინფორმაციის მიღება პრაქტიკის თაობაზე, აგრეთვე, კვლევის ფარგლებში მომზადებული რეკომენდაციების მათთვის გაცნობა და დამატებითი შეფასებების მიღება.

დაბრკოლებები კვლევის მიმდინარეობისას

კვლევის მიმდინარეობისას მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენდა გამოთხოვილი საჭარო ინფორმაციის დროულად და სრულყოფილად მიღება შესაბამისი უწყებებიდან. ყველაზე ხშირად ინფორმაციის მოწოდებაზე უარის საფუძველი იყო ის, რომ უწყება კონკრეტულ მასალებს არ ამუშავებს და მათი კვლევის მიზნებისთვის დამუშავება მოითხოვდა დიდ ადმინისტრაციულ რესურსს. მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნიდა ისიც, რომ რიგი საკითხები მკაფიოდ არ არის მონესრიგებული ნორმატიულ დონეზე და პროექტის გუნდისთვის შეუძლებელი იყო, ინტერვიუების საფუძველზე გამოეტანა განზოგადებული დასკვნები ასეთ საკითხებზე.

თავის მხრივ, პროექტის გუნდს სურდა ინტერვიუების ჩაწერა სასამართლო სისტემის წარმომადგენლებთან, თუმცა, როგორც აღინიშნა, მოსამართლეებთან თანამშრომლობაზე დათანხმება ვერ მოხერხდა. ინტერვიუში მონაწილე გამომძიებლებისა და პროკურორების რაოდენობაც შესაბამისი უწყების ხელმძღვანელობასთან მიღწეულ შეთანხმებას წარმოადგენდა.

კვლევის ავტორთა ჯგუფი მადლიერებას გამოთქვამს კვლევაში მონაწილე თითოეული პირის, ასევე, საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიმართ, რადგან აღნიშნული უწყებები აქტიურად თანამშრომლობდნენ პროექტის გუნდთან ინტერვიუების ორგანიზებასა და განხორციელებაში. აღნიშნულ უწყებებთან თანამშრომლობის გარეშე, კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ იქნებოდა წარდგენილი საზოგადოებისთვის.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

2005-2009 წლებში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეფორმა უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო ქართული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შემდგომი განვითარებისთვის, რადგან მას უნდა დაემკვიდრებინა დანაშაულის გამოძიების ახალი სტანდარტები, ბრალდებულის დაცვის მაღალი გარანტიები და, ზოგადად, ახლებური სამართლებრივი აზროვნების კულტურა. სამწუხაროდ, კოდექსის საბოლოო რედაქცია, რომელიც 2010 წელს ამოქმედდა, საკმარისი არ აღმოჩნდა აღნიშნული მიზნების მისაღწევად, მასში არსებული რიგი ბუნდოვანებებისა თუ სისტემური ხარვეზების გამო. ამავდროულად, ახალ საპროცესო რეგულირებებთან არ მოხდა არსებული სამართლებრივი გარემოს და ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩოს ადაპტირება, რამაც კრაქტიკაში არაერთი მიმართულებით წარმოშვა პრობლემები. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, რეფორმის შემდგომ პერიოდში დაკმაყოფილდა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი კონსტიტუციური სარჩელი, რომლებიც გამოძიების პროცესში მხარეთა თანასწორობას და საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარებას შეეხებოდა. აღნიშნული კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ კოდექსის მიღებიდან 10 წლის თავზე, იგი კვლავ შეიცავს ხარვეზებს. საპროცესო კოდექსის კონკრეტული ნორმები ბუნდოვანია და ინსტიტუციურ დონეზე სათანადოდ ვერ აფუძნებს ფუნდამენტურ გარანტიებს, სრულყოფილი, ყოველმხრივი და მოიუკერძოებელი გამოძიების უზრუნველსაყოფად.

კვლევის ფარგლებში შემდეგი პრობლემური საკითხები გამოიკვეთა:

- საგამოძიებო ორგანოების ინსტიტუციური მოწყობა და არსებული სამართლებრივი ჩარჩო ვერ უზრუნველყოფს დამოუკიდებელ, ყოველმხრივ და ობიექტურ გამოძიებას. გამოძიებელი კვლავ რჩება პროცესის მხარე და მნიშვნელოვნად დამოკიდებული პროკურორის გადაწყვეტილებებზე;
- პრობლემად რჩება ერთგვარი „წინასაგამოძიებო“ მექანიზმების არსებობა, რომლებზეც საპროკურორო და სასამართლო კონტროლი არ ხორციელდება. სასამართლოს ეფექტიანი კონტროლი არ ვრცელდება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე და ამ პროცესში ჩართული პირების სასამართლოში უშუალოდ დაკითხვის პროცედურები არ არსებობს;
- გამოძიების პროცესში პროკურორის და გამოძიებლის სტატუსი არ არის ნათლად განვარაღებული და რიგ შემთხვევაში ორივე სუბიექტის როლი არის წინააღმდეგობრივი. გამოძიებელს, ერთი მხრივ, ევალება გამოძიების ობიექტურად და ყოველმხრივ წარმოება, მეორე მხრივ კი, ის არის ბრალდების მხარე. აგრეთვე, პროკურორი ახორციელებს გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობას, რისი მიზანიც გამოძიების

ძიების მოქმედებების კანონიერების კონტროლია, მეორე მხრივ კი, პროკურორი თავადვე არის გამოძიების წამყვანი სუბიექტი და მასში აქტიურად ჩართული. აღნიშნული კი მნიშვნელოვნად ართულებს მისი მხრიდან გამოძიებაზე ზედამხედველობის ფუნქციის სათანადოდ შესრულებას;

- გამოძიების პროცესში პროკურორი აქტიურად არის ჩართული და ხშირ შემთხვევაში სწორედ ის განსაზღვრავს გამოძიების სტრატეგიასა და მის მსვლელობას. აღნიშნული საფრთხეს უქმნის გამოძიების ობიექტურობასა და ნეიტრალურობას, აგრეთვე, ქრება ზღვარი გამოძიებელსა და პროკურორს შორის და ამ ორ სუბიექტს, ერთმანეთთან თანამშრომლობის ბუნებრივი მოტივაცია უყალიბდება;
- არ არსებობს პროკურორსა და გამომძიებელს შორის არსებული ურთიერთობის/კომუნიკაციის დოკუმენტირების ვალდებულება. აგრეთვე, კანონმდებლობაში არ არის გაწერილი, რა ფორმით უნდა გასცემდეს პროკურორი გამომძიებლის მიმართ სავალდებულო მითითებას და დასაბუთების რა სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს ის;
- მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კოდექსში საერთოდ არ არის ნახსენები საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელი, როგორც პროცესის მონაწილე, ინტერვიუებიდან გამოვლინდა, რომ აღნიშნული თანამდებობის პირები აქტიურად მონაწილეობენ გამოძიების პროცესში და ხშირ შემთხვევაში უშუალოდ განსაზღვრავენ ხოლმე კონკრეტული უწყების მიერ წარმოებული გამოძიებების ხარისხსა და სტანდარტებს;
- საგამოძიებო სამსახურების ინსტიტუციური მოწყობა განსხვავდება ერთმანეთისგან. ცალკეული საგამოძიებო სამსახურებისგან არ არის ცალკე გამიჯნული ოპერატიულ-სამძებრო ორგანოები, საგამოძიებო და ოპერატიული ფუნქციების ერთ სამსახურში კონცენტრაცია კი ამცირებს გამჭვირვალობის სტანდარტებს და, ზოგადად, უარყოფითად აისახება გამოძიების ხარისხზე;
- გამომძიებლების კვალიფიკაცია და მათი თანამდებობაზე დანიშვნის წესები პრობლემურია. არ არსებობს ერთიანი სტანდარტი და კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილებაც სავალდებულო იქნებოდა გამომძიებლის სტატუსის მისანიჭებლად. ზოგიერთ საგამოძიებო უწყებაში გამომძიებელს არ მოეთხოვება უმაღლესი იურიდიული განათლება. მათი თანამდებობაზე დანიშვნის წესები კი ხშირ შემთხვევაში არის ბუნდოვანი და შეიცავს კონკრეტული თანამდებობის პირების მხრიდან თვითნებური გადაწყვეტილებების რისკს;
- პრობლემური და წინააღმდეგობრივია დანაშაულის შესახებ მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების მეთოდები. ერთი მხრივ, საპროცესო კოდექსი საგამოძიებო სამსა-

ხურებს ავალდებულებს, დანაშაულის თაობაზე ინფორმაციის მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება, თუმცა პრაქტიკაში ხშირია ე.წ. წინასაგამოძიებო „მოკვლევის“ ეტაპი, რომლის ფარგლებშიც გამოძიებულები ყოველგვარი პროცედურული წესრიგის მიღმა ცდილობენ საქმისთვის (დანაშაულის თაობაზე) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დადგენას. აღნიშნული პრაქტიკის არსებობას ხელს უწყობს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონებში არსებული ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი ჩანაწერები;

- არ არსებობს დანაშაულის შესახებ მიღებული ინფორმაციის შეფასების ერთიანი წესები და კრიტერიუმები, რაც მოწესრიგებული იქნება საპროცესო კანონმდებლობით. ინტერვიუების შედეგად, აგრეთვე, გამოვლინდა, რომ დანაშაულების რეგისტრაციის პროცესზე შესაძლოა, უარყოფითი გავლენა მოახდინოს დანაშაულის სტატისტიკის წარმოების საკითხმა. ინტერვიუებიდან გამოჩნდა, რომ დანაშაულის სტატისტიკას პრაქტიკაში არასწორი მნიშვნელობა ენიჭება;
- კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არ არსებობს ეფექტიანი მექანიზმი, რომლითაც შემონმდება, თუ რამდენად ასრულებს გამოძიებელი მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დაარეგისტრიროს დანაშაული და დაიწყო გამოძიება;
- გამოძიების პროცესში ყველა მნიშვნელოვან საგამოძიებო ღონისძიებაზე საბოლოო გადანყვეტილებას იღებს არა გამოძიებელი, არამედ პროკურორი. ასევე პროკურორი იღებს ისეთ პროცესუალურ საკითხებზე გადანყვეტილებას, როგორებიცაა: საქმის კვალიფიკაცია, პირისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება, საქმის ერთი გამოძიებლისთვის ჩამორთმევა და გამოსაძიებლად მეორისთვის გადაცემა და სხვა;
- სისხლის სამართლის დანაშაულთა საგამოძიებო ქვემდებარეობის საკითხი მოწესრიგებულია არა კანონის დონეზე, არამედ იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. ამავდროულად, საქართველოს მთავარ პროკურორს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე შეუძლია, ბრძანებით დადგენილი ქვემდებარეობის წესები უგულებელყო და საქმე ერთი ორგანოდან მეორეს გადასცეს გამოსაძიებლად;

კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, პროექტის გუნდი წარმოადგენს შემდეგ რეკომენდაციებს:

- საქმეთა საგამოძიებო ქვემდებარეობა, იუსტიციის მინისტრის ბრძანების ნაცვლად, მოწესრიგდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით;

- საპროცესო კოდექსით საქართველოს მთავარი პროკურორისთვის (აგრეთვე, მის მიერ უფლებამოსილი პირისთვის) მინიჭებული უფლებამოსილება, საქმის ერთი საგამოძიებო უწყებიდან სხვა საგამოძიებო სამსახურში გადატანის თაობაზე, შეიზღუდოს იმგვარად, რომ აღნიშნულის შესაძლებლობა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ჰქონდეს მთავარ პროკურორს, სათანადო წერილობითი დასაბუთების შემთხვევაში. ამავდროულად, მთავარ პროკურორს არ უნდა შეეძლოს აღნიშნული უფლებამოსილების გადანდობა პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ;
- იმ საგამოძიებო უწყებებში, სადაც ასე არ არის, ერთმანეთისგან ინსტიტუციურად და ოპერაციულად გაიმიჯნოს საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო სამსახურები. ამავდროულად, თითოეულ დანაყოფში დასაქმებული თანამშრომლები სპეციალიზირდნენ შესაბამის მიმართულებაზე;
- ყველა საგამოძიებო ორგანოს გამომძიებლებისთვის დადგინდეს ერთიანი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სხვა პროფესიულ/კეთილსინდისიერების კრიტერიუმებთან ერთად, უმაღლესი იურიდიული განათლება განისაზღვროს სავალდებულო მინიმალურ მოთხოვნად ყველა საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებისთვის;
- ნორმატიულად გაიწეროს გამომძიებლების სამსახურში აყვანის განჭვრეტადი და დემოკრატიული წესები. ამ მხრივ, შესაძლებელია, სხვა უწყებებმა დანერგონ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში კადრების შერჩევა-დანაშენის მსგავსი პროცედურები;
- „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულაციები იმგვარად ჩამოყალიბდეს, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იყოს მხოლოდ პრევენციული მიზნებისთვის, რათა დანაშაულზე რეაგირება მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ფარგლებში საგამოძიებო მოქმედებებით განხორციელდეს;
- გამოძიების პარალელური მექანიზმების თავიდან აცილების მიზნით, გაუქმდეს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის“ შესახებ საქართველოს კანონი. მასში არსებული საგამოძიებო ეფექტის მქონე მექანიზმები, ისევე, როგორც „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, სისხლისსამართლებრივი ინტენსივობის მქონე ღონისძიებები, მოექცეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში;
- მნიშვნელოვანია, გაუქმდეს პრაქტიკაში დამკვიდრებული ე.წ. წინასაგამოძიებო ეტაპი და შესაბამისმა ორგანოებმა გამოძიება დაიწყო მყისიერად, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, მხოლოდ საპროცესო კოდექსის ფარგლებში და დადგენილი წესით;

- ყველა საგამოძიებო ორგანოში დაინერგოს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციის სპეციალური წესი, რომელიც რეგისტრაციის ინსტრუქციასთან ერთად განსაზღვრავს რეგისტრაციის პროცესის კონტროლის მექანიზმებს, მაკონტროლებელი დანაყოფის ფუნქციებისა და რეგისტრაციის წესის დარღვევისთვის დაადგენს შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომებს;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, შესაბამისი ორგანოებისთვის სავალდებულო გახდეს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციის შემთხვევაში განმცხადებლისთვის დანაშაულის შესახებ შეტყობინების მიღების წერილობითი ცნობის გაცემა;
- თავისთავად, დანაშაულის სტატისტიკა არ უნდა იყოს კონკრეტული საგამოძიებო უწყებისა თუ თანამდებობის პირის საქმიანობის შეფასების დამოუკიდებელი საზომი. თანამდებობის პირის თუ საგამოძიებო უწყების საქმიანობის შეფასებისას დანაშაულის შესახებ სტატისტიკა, შესაძლოა სხვა მნიშვნელოვან ფაქტორთან, ერთ-ერთი კრიტერიუმი იყოს. თუმცა, საკადრო გადანაცვებები მათ მიმართ, მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით არ უნდა მიიღებოდეს. რადგან აღნიშნული საბოლოო ჯამში იწვევს დანაშაულის რეგისტრაციისა და ზოგადად, სტატისტიკის სწორად წარმოების პრობლემებს;
- პროკურატურას ჩამოერთვას სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების კომპეტენცია და აღნიშნული უფლებამოსილება თემატურად გადანაწილდეს სხვა საგამოძიებო უწყებებზე;
- გაუქმდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული პროკურორის უფლებამოსილება, სისხლის სამართლის საქმეს ჩამოაშოროს ერთი გამოძიებელი და ის გამოსაძიებლად გადასცეს სხვა გამოძიებელს;
- პროკურორი არ უნდა იყოს უფლებამოსილი, უშუალოდ ჩაერთოს გამოძიების პროცესში და მთლიანად წარმართოს გამოძიება, რა დროსაც ის იძენს გამოძიებლის სტატუსს;
- გამოძიებისა და პროკურატურის ოპერაციულ დონეზე მეტად დისტანცირების მიზნით, შევზღუდოს პროკურორის გამოძიების ფარგლებში გამოძიებლისთვის შესასრულებლად სავალდებულო მითითების შესაძლებლობა;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში უნდა დაკონკრეტდეს, რომ პროკურორის მხრიდან გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობა წარმოებს გამოძიების კანონიერების უზრუნველსაყოფად და საპროცესო ზედამხედველობის ფარგლებში, პროკურორი არ განსაზღვრავს გამოძიების მიმართულებას;

- პროკურორს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს გამოძიებლის ქმედების/გადანყვეტილების შეცვლის ან გაუქმების უფლებამოსილება, თუკი ის აშკარად კანონსაწინააღმდეგოა. მართლზომიერების ან ეფექტიანობის მოტივით პროკურორი ვერ უნდა ერეოდეს გამოძიებლის საქმიანობაში;
- გამოძიებლის მიერ საქმის სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლევის მიზნით, აუცილებელია, ახლებურად განისაზღვროს მისი სტატუსი საპროცესო კოდექსში. გამოძიებელი არ უნდა იგულისხმებოდეს ბრალდების მხარედ და იგი დისტანცირებული უნდა იყოს პროკურატურისგან როგორც ინსტიტუციურად, ასევე ფუნქციურად;
- გამოძიებლის პროკურორზე დამოკიდებულების ინტენსივობის შესამცირებლად მნიშვნელოვანია, რომ მათ შორის კომუნიკაციას სავალდებულო წერილობითი ფორმა ჰქონდეს. ამავდროულად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც გამოძიებელი საჭიროდ მიიჩნევს ისეთ საგამოძიებო ღონისძიებას, რომელსაც სჭირდება სასამართლოს ნებართვა, მაგრამ აღნიშნულზე პროკურორი არ თანხმდება, პროკურორის უარი სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვაზე უნდა იყოს წერილობით დასაბუთებული და აღნიშნული დოკუმენტი უნდა შევიდეს საქმის მასალებში (გასათვალისწინებელია, რომ შეჭიბრებითი სისხლის სამართლის სისტემებში, გამოძიებელს შეუძლია პირდაპირ მიმართოს სასამართლოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საკითხზე, რისთვისაც არ სჭირდება პროკურორის მონაწილეობა);
- საპროცესო კოდექსით განისაზღვროს საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელის პროცესუალური სტატუსი. ეს უკანასკნელი უნდა უზრუნველყოფდეს დაქვემდებარებული უწყების მიერ წარმოებული გამოძიების ეფექტიანობას, კვალიფიციურობასა და მაღალ ხარისხს. სამსახურის ხელმძღვანელი უფლებამოსილი უნდა იყოს, მისცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითებები გამოძიებლებს, დაავალოს საქმის გამოძიება კონკრეტულ გამოძიებელს, განიხილოს გამოძიებლის ქმედებასთან დაკავშირებული საჩივრები და სხვა;
- მხარეთა მიერ მტკიცებულებათა გაცვლის პროცესში გამკაცრდეს სამართლებრივი შედეგი ისეთ შემთხვევებზე, როდესაც გამოძიებელი/პროკურორი არ უზრუნველყოფს ბრალდებულისთვის ისეთი მტკიცებულების გაცვლას, რომელიც გამორიცხავს ან ამსუბუქებს პირის ბრალეულობას. ასეთი შემთხვევები უნდა იყოს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი.

1. ინსტიტუციური ანალიზი

1.1. შესავალი

გამოძიების პროცესის, მის ფარგლებში კონკრეტული გამოძიებლების უფლებამოსილების სრულყოფილი ანალიზისთვის, აგრეთვე, იმის შესასწავლად, რამდენად მაღალია საგამოძიებო მოქმედებისას გამოძიებლის კვალიფიკაცია და მისი დამოუკიდებლობის ხარისხი, მნიშვნელოვანია იმ უწყებების ინსტიტუციური მოწყობის მიმოხილვა, რომლებიც სარგებლობენ საგამოძიებო კომპეტენციით. არსებული მდგომარეობით, სისხლის სამართლის საქმის გამოძიების უფლებამოსილებით დღეს აღჭურვილნი არიან იუსტიციის, შინაგან საქმეთა, თავდაცვის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის და ფინანსთა სამინისტროების საგამოძიებო სამსახურები, აგრეთვე, პროკურატურა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.¹¹

საგამოძიებო სისტემა ყოველთვის ამ დოზით არ ყოფილა დეცენტრალიზებული და 2003 წლამდე ეს უფლებამოსილება მხოლოდ პროკურატურას, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროებს ჰქონდათ მინიჭებული.¹² 2003 წლიდან საპროცესო კოდექსში გაჩნდა ჩანაწერი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის თაობაზე, თუმცა რეალურად ეს სამსახური 2004 წლიდან ამოქმედდა. დღევანდელი ფორმით – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სტატუსით – სამსახური 2009 წელს ჩამოყალიბდა.¹³

2005 წელს შეიქმნა იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, რომლის ფუნქციაც სასამართლო აქტების აღსრულებასთან დაკავშირებულ და სასჯელაღსრულების დაწესებულებების ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულთა გამოძიება იყო.¹⁴ ამ უკანასკნელი ტიპის დანაშაულთა განსჯადობა 2008 წლიდან გავიდა სამსახურის კომპეტენციიდან, რაც უკავშირდება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ცალკე სამინისტროს სახით ჩამოყალიბებას, სადაც, შესაბამისად, შეიქმნა საგამოძიებო დეპარტამენტიც და სწორედ ამ სამსახურს მიენიჭა პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების უფლებამოსილება.

2006 წელს ჩამოყალიბდა თავდაცვის სამინისტროს საგამოძიებო სამსახური – სამხედრო პოლიცია. ამავე პერიოდში გაუქმდა ცალკე სახით არსებული სახელმწიფო უშიშ-

11 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლი.

12 იხ. საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლი (კანონის 2003 წლის 26 აგვისტომდე არსებული რედაქცია) – ძალადაკარგულია 2010 წლის 1 ოქტომბერს.

13 <http://is.ge/4162>

14 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ. იხ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1427487>

როების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურები, უფრო სწორად კი, აღნიშნული ორგანოები მთლიანად უშიშროების სამინისტროსთან ერთად შეუერთდა შინაგან საქმეთა სამინისტროს. 2007-2011 წლებში ასევე ცალკე სახით არსებობდა ჯერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, შემდეგ კი ენერჯეტიკის სამინისტროს საგამოძიებო სამსახურები,¹⁵ თუმცა დღეს არც ერთი მათგანი დამოუკიდებელი სახით აღარ არსებობს და მათი კომპეტენციების უმეტესობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ორგანოებზეა გადაწვენილებული.

2015 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში გატარებული ინსტიტუციური რეფორმის შედეგად, ცალკე უწყებად ჩამოყალიბდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.¹⁶ ბევრ სხვა ფუნქციასთან ერთად, აღნიშნულ უწყებას მიენიჭა გამოძიების კომპეტენციაც და სახელმწიფო უსაფრთხოების, კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ მიმართული და ტერორისტული დანაშაულების პარალელურად სამსახური აგრეთვე იძიებს კორუფციის ფაქტებს.

საგამოძიებო უწყებების ამგვარი დეცენტრალიზაციის პირობებში რთულია, ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს, რომელი უწყებაა ქვეყანაში კრიმინოგენულ ვითარებაზე ძირითადი პასუხისმგებელი. დღეს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ წარმოებულ გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელი პროკურატურაა და შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს ორგანო უზრუნველყოფს გამოძიების ერთიანი სტანდარტებით წარმოებასა და, ზოგადად, დანაშაულთან ბრძოლის ერთიანი სტრატეგიით წარმართვას. ასეთი ვითარება პრობლემურია იმ მხრივ, რომ პროკურატურა არის სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო, მაშინ, როდესაც დანაშაულის პრევენციის, მისი გამოვლენა-აღკვეთისა და დანაშაულების ფაქტების ეფექტიანი, ყოველმხრივი გამოძიება სხვა უწყებების პასუხისმგებლობაში რჩება. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანაში არ არსებობს დანაშაულის პრევენციის ერთიანი სტრატეგია¹⁷ და მოდელი და ასეთ პირობებში, კიდევ უფრო მეტი რისკი იქმნება, რომ დანაშაულის წინააღმდეგ არათანმიმდევრული პოლიტიკა გაატარონ შესაბამისმა უწყებებმა.

15 საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლი (კანონის 2007 წლის 22 იანვრიდან არსებული რედაქცია).

16 იხ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2905260>

17 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „დანაშაულის პრევენცია, საპოლიციო კონტროლის რისკები“, 2017 წ. გვ. 20. იხ. კვლევა შემდეგ მისამართზე: <https://emcrights.files.wordpress.com/2017/10/e18393e18390e1839ce18390e183a8e18390e183a3e1839ae18398e183a1-e1839ee183a0e18394e18395e18394e1839ce183aae18398e18390.pdf>

1.2. საგამოძიებო ქვემდებარეობა და საქმეთა განაწილება ცალკეულ საგამოძიებო სამსახურებში

კონკრეტული საგამოძიებო უწყებების ინსტიტუციურ ანალიზამდე მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს, რა პრინციპით და პროცედურით ნაწილდება მათ შორის კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეები. საქმეთა ქვემდებარეობის ნათელ და სამართლიან წესებს კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ეფექტიანი, ობიექტური და სანდო გამოძიების უზრუნველსაყოფად. ამ კუთხით პრობლემურია ის, რომ სისხლის სამართლის საქმეთა ქვემდებარეობის წესები მონესრიგებელია არა კანონის დონეზე, არამედ იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.¹⁸ აგრეთვე, კანონმდებლობაში არაა განვირეილი, რა ხარისხის დასაბუთებას უნდა შეიცავდეს მინისტრის გადაწყვეტილება ბრძანების შინაარსის შეცვლის თაობაზე.

მსგავსი მნიშვნელობის საკითხის კანონქვემდებარე აქტის დონეზე მონესრიგება ერთმნიშვნელოვნად პრობლემურია, რადგან ასეთ პირობებში იქმნება დაუსაბუთებელი და გაუმჭვირვალე გადაწყვეტილებით ბრძანების შინაარსის შეცვლის რისკი. ამავდროულად, საკითხი მინდობილია მინისტრზე – პოლიტიკური თანამდებობის პირზე, რაც ასევე ზრდის საკითხის პოლიტიზების საფრთხეს. ამ კონტექსტში, ასევე პრობლემურია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლით მთავარი პროკურორისადმი მინიჭებული უფლებამოსილება, რომლის მიხედვითაც, მას ან მის მიერ უფლებამოსილ პირს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე შეუძლია მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ქვემდებარეობის წესების უგულებელყოფა და სისხლის სამართლის საქმის ერთი ორგანოდან სხვა საგამოძიებო ორგანოსთვის გადაცემა.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მთავარი პროკურორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას ან გადაწყვეტილების სავალდებულო ფორმას. აგრეთვე, არაა დაკონკრეტებული, მთავარი პროკურორის გარდა, ვინ შეიძლება იყოს უფლებამოსილი, ბრძანებით დადგენილი ქვემდებარეობის გვერდის ავლით აწარმოოს საქმეთა განაწილება საგამოძიებო ორგანოებს შორის და კანონი მხოლოდ ზოგადად მიუთითებს „უფლებამოსილ პირზე“.

მთავარი პროკურორისთვის მსგავსი ფართო უფლებამოსილების მინიჭება, ფაქტობრივად, აზრს უკარგავს იუსტიციის მინისტრის ბრძანების არსებობას, რადგან შესაძლებელი ხდება, ბრძანებით დადგენილი საგამოძიებო ქვემდებარეობის წესები რუტინულ რეჟიმში ირღვეოდეს, თანაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. აღნიშნულ საკითხზე

18 იხ. სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე იუსტიციის მინისტრის ბრძანება (N34 – 2013 წლის 7 ივლისი).

სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად, კვლევის გუნდმა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მიმართა პროკურატურას და გამოითხოვა ცნობები მთავარი პროკურორის/მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ რამდენჯერ გადაეცა სისხლისსამართლებრივი საქმე გამოსაძიებლად ერთი საგამოძიებო უწყებიდან სხვა სამსახურს. სამწუხაროდ, პროკურატურამ აღნიშნული ინფორმაციის მოწოდებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ უწყება გამოთხოვილი მასალის აღრიცხვას არ აწარმოებს.¹⁹ ასეთ პირობებში, ფაქტობრივად, შეუძლებელია მთავარი პროკურორის ზემოაღნიშნულ უფლებამოსილებაზე რაიმე ფორმით კონტროლი/ზედამხედველობა, რაც კიდევ უფრო ზრდის მისი მხრიდან თვითნებობის რისკს.

რაც შეეხება უშუალოდ კონკრეტულ საგამოძიებო სამსახურებში გამომძიებლებზე/საგამოძიებო ქვეუწყებებზე საქმეთა განაწილებას, ამ შემთხვევაშიც არ არსებობს საქმეთა განაწილების ნათელი წესები. გამონაკლისს წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სადაც მინისტრის ბრძანებით²⁰ არის განსაზღვრული კონკრეტული დეპარტამენტების ქვემდებარე საქმეები, თუმცა უშუალოდ დეპარტამენტებში კონკრეტულ თანამშრომლებზე რა პრინციპით ხდება საქმეთა განაწილება, ეს საკითხი ღიად არის დატოვებული. აღნიშნულ საკითხზე თითოეული საგამოძიებო უწყებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის პასუხად, კვლევის ჯგუფს მხოლოდ თავდაცვის სამინისტრომ აცნობა, რომ კონკრეტულად თანამშრომლებს შორის საქმეები ნაწილდება მორიგეობის გრაფიკის მიხედვით²¹ (თუმცა წერილში არ არის დაკონკრეტებული, მორიგეობის რა წესები მოქმედებს უწყებაში და როგორ განისაზღვრება ეს წესები).

შესაძლოა, ყველა შემთხვევაში არც არსებობდეს საგამოძიებო სამსახურის ქვეუწყებებს შორის საქმეთა გადანაწილების ერთიანი წესის შექმნის აუცილებლობა, რადგან საქმეები თავისთავად ნაწილდება კონკრეტულ სამმართველოში ტერიტორიულობის ან დანაშაულის ტიპის მიხედვით. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მკაფიო და ნათელი წესით რეგულირდებოდეს კონკრეტულ გამომძიებლებზე საქმეთა განაწილება, რათა თავიდან იყოს აცილებული ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელის მხრიდან თვითნებური გადაწყვეტილებები და ამასთანავე, ეფექტიანად იყოს გამოყენებული კონკრეტული სამსახურის საკადრო რესურსი.

19 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 24 იანვრის N13/5475 წერილი.

20 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 31 ივლისის #566 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეების საგამოძიებო ქვემდებარეობის შესახებ“.

21 საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2018 წლის 29 იანვრის #MOD2 18 00087365 წერილი.

1.3. საგამოძიებო ორგანოების შიდა სტრუქტურა

ცალკეული საგამოძიებო უწყებების ინსტიტუციური მოწყობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ მიერ წარმოებული გამოძიების ხარისხზე, გამომძიებლების კვალიფიკაციაზე და დამოუკიდებლობაზე. საგამოძიებო სისტემის დეცენტრალიზების პირობებში ასევე განსხვავებულია საგამოძიებო ორგანოების შიდა მოწყობა, რაც ყოველდღიურ საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით აისახება გამომძიებელთა მოქმედებაზე. ამ კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ინსტიტუციურად რამდენად არის ერთმანეთისგან გამიჯნული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და გამოძიების მწარმოებელი უწყებები. კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტები²² ნათლად მიუთითებენ, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც ოპერატიული და საგამოძიებო ფუნქციები ერთმანეთისგან არ არის ოპერაციულად და ინსტიტუციურად დისტანცირებული, იზრდება სამართალდამცავთა მხრიდან უფლებამოსილების არამართლზომიერად გამოყენების რისკი. მაგალითად, ე.წ. წინასაგამოძიებო მოკვლევის შემთხვევები, როდესაც დანაშაულის თაობაზე მიღებულია კონკრეტული ინფორმაცია, მაგრამ მის საფუძველზე არ იწყება გამოძიება.

ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო საქმიანობის ერთ სამსახურში მოქცევა, კონკრეტული სამართალდამცავების ორივე კომპეტენციით თანადროულად აღჭურვა ორი კუთხით არის პრობლემური:

1. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე შეზღუდულად და უშინაარსოდ წარმოებს სამართლო/საპროკურორო კონტროლი. ამ ფონზე, ასეთი საქმიანობით მოპოვებულმა ინფორმაციამ მინიმალურად მაინც რომ დააკმაყოფილოს სანდოობისა და უტყუარობის სტანდარტები, მნიშვნელოვანია, რომ სანამ ეს ინფორმაცია გამოძიების ნაწილი გახდება ან მის საფუძველზე კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებები დაიწყება, ინფორმაცია შეაფასოს ნეიტრალურმა პირმა. როდესაც აღნიშნული ორი ფუნქცია ინსტიტუციურად არ არის გადანაწილებული ორ სხვადასხვა სამსახურზე, „ოპერატიული ინფორმაცია“, ფაქტობრივად, არ გადის სანდოობის არავითარ ტესტს და ის პირდაპირ ხდება გამოძიების ნაწილი/საგამოძიებო ღონისძიების საფუძველი. ამ შემთხვევაში ასევე ბუნდოვანი ხდება ოპერატიული თანამშრომლისა და გამომძიებლის ინდივიდუალური პასუხისმგებლობები;

2. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა და გამოძიების წარმოება ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს მოითხოვს. ამიტომ, საჭიროა აღნიშნული ფუნქციების ინსტიტუციური გამიჯვნა და თანამშრომელთა

²² კვლევის ფარგლებში, პრაქტიკოს პროკურორებსა და გამომძიებლებთან ერთად, გამოიკითხნენ სისხლის სამართლის დარგის ექსპერტები, რომლებსაც აქვთ აკადემიური ან პრაქტიკული გამოცდილება/ცოდნა კვლევისთვის რელევანტურ საკითხებზე.

უფრო მეტად სპეციალიზება კონკრეტული მიმართულებით, რათა მათ ეფექტიანად შეასრულონ როგორც ოპერატიულ-სამძებრო, ისე საგამოძიებო ფუნქციები.


აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით არაერთგვაროვანი ვითარებაა კონკრეტულ საგამოძიებო უწყებებში:

შინაგან საქმეთა სამინისტრო
ძირითადი საგამოძიებო უწყებები: კრიმინალური პოლიცია, საპატრულო პოლიცია და ოპერატიული დეპარტამენტი საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო სამსახურები არაა დისტანცირებული
ფინანსური პოლიცია
გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტი ოპერატიულ-სამძებრო სამსახური ცალკე გამიჯნულია გამოძიებისგან
სამხედრო პოლიცია
ოპერატიულ-სამძებრო სამსახური ცალკე ქვედანაყოფი სახით არსებობს
პროკურატურა
არ არის გამიჯნული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო სამსახურები სამართალწარმოების პროცესში ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირების მიზნით ახლად შექმნილ დეპარტამენტში ასევე ერთადაა თავმოყრილი გამოძიების და დევნის ფუნქციები
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საგამოძიებო დანაყოფები
ძირითადი საგამოძიებო უწყებები: კონტრდაზვერვის და სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტები, ანტიკორუფციული სააგენტო და კონტრტერორისტული ცენტრი ნაწილობრივ გამიჯნულია საგამოძიებო სამსახური
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი
გამოძიებას აწარმოებს ორი ტერიტორიული უწყება ოპერატიულ-სამძებრო სამსახური ცალკე ქვეუწყების სახით არსებობს
იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია
გამიჯნულია საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ფუნქციები

ცალკეული საგამოძიებო უწყებების მოცულობა და მათში დასაქმებულ გამომძიებელთა რაოდენობა, აგრეთვე, განსხვავებულია და ეს ბუნებრივად არის დამოკიდებული ცალკეული ორგანოების შესასრულებელ სამუშაოზე. როგორც აღინიშნა, ქვეყნის მთავარი საგამოძიებო უწყება შინაგან საქმეთა სამინისტროა, რომლის სხვადასხვა საგამოძიებო ორგანოში, მთლიანობაში, 7948 გამომძიებელი ირიცხება, ხოლო სამინისტროს მიერ რეგისტრირებული და გახსნილი დანაშაულის მაჩვენებელი ბოლო წლებში ასეთია:

- 2015 წელი – 35 096 საქმე, საიდანაც გაიხსნა 21 176;
- 2016 წელი – 35 997 საქმე, გაიხსნა 20 661;
- 2017 წლის პირველი ნახევარი – 18 465 საქმე, გაიხსნა 10 035.²³

რაც შეეხება დანარჩენ ექვს საგამომიებო უწყებებში დასაქმებული გამომიებლების რაოდენობასა და უწყებების მიერ რეგისტრირებული დანაშაულის მაჩვენებლებს, ამ მხრივ, ასეთი სურათი გვაქვს:



* იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობა გაერთიანებული ფორმით მოგვანოდა, კონკრეტულ წლებზე მითითების გარეშე; აქედან გამომდინარე, 2017 წლის მაჩვენებელში ასევე ერთიანდება 2015 და 2016 წლებში რეგისტრირებული დანაშაულიც.

23 ვვლევს გუნდის მიერ გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 22 იანვრის #4 18 00161750 წერილი

1.4. პროკურორის და გამომძიებლის კვალიფიკაცია

პროკურორისა და გამომძიებლის კვალიფიკაცია პირდაპირ განსაზღვრავს ინდივიდუალური სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების ხარისხს, რაც, საბოლოო ჯამში, მთლიანად საგამოძიებო სისტემის ეფექტიანობაზე ახდენს გავლენას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, შეფასდეს ის მინიმალური პროფესიული მოთხოვნები, რომლებიც ნორმატიულ დონეზე არის დადგენილი პროკურორის ან გამომძიებლის უფლებამოსილების შესასრულებლად

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონი მკაფიო მოთხოვნებს ადგენს პროკურორის ან პროკურატურის გამომძიებლად პირის თანამდებობაზე დანიშვნისთვის.²⁴ კერძოდ, აღნიშნულ თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, ფლობს სამართალწარმოების ენას, გავლილი აქვს 6 თვიდან 1 წლამდე სტაჟირება პროკურატურის ორგანოებში და საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიისათვის ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა რელიევანტურ სამართლებრივ დისციპლინებში.²⁵ ამავდროულად, პროკურატურის მუშაკს მოეთხოვება საქმიანი და მორალური თვისებები, მან ასევე უნდა დაადასტუროს, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობით შეუძლია შეასრულოს პროკურორის ან პროკურატურის გამომძიებლის მოვალეობები.

„პროკურატურის შესახებ“ კანონი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უშვებს შესაძლებლობას, პირმა უწყებაში დაიწყოს მუშაობა ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლად. კერძოდ, პირი შეიძლება გათავისუფლდეს პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისგან, თუკი მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა ან გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება. ასევე, პირი შესაძლოა გათავისუფლდეს პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლის ვალდებულებისგან, თუკი მას აქვს მოსამართლედ, ადვოკატად ან გამომძიებლად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება, ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა ან აქვს იურიდიული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმები და დანიშვნის პროცედურა, გარკვეულწილად, ქმნის ნათელ წარმოდგენას იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოთხოვნები არსებობს პროკურატურის ორგანოში თანამდებობის დასაკავებლად. ამავდროულად, დადებითად უნდა შეფასდეს ისიც, რომ მინიმალური სივრცეა დატოვებული პროკურატურის ხელმძღვანელობის მიერ ექსკლუზიური, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღებისთვის, პრო-

24 პროკურატურის შესახებ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი ნაწილი

25 საკონსტიტუციო სამართალი, ადამიანის უფლებათა სერთაშორისო სამართალი, სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, სასჯელაღსრულებითი სამართალი და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საფუძვლები

კურატორის ორგანოებში პირის პროკურორად ან გამომძიებლად დანიშვნის თაობაზე. რაც შეეხება საგამოძიებო უწყებებს, ამ მხრივ, ერთიანი სტანდარტი არ არსებობს და ცალკეულ ორგანოებს განსხვავებული კრიტერიუმები აქვთ განსაზღვრული გამომძიებელთათვის.

სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი: გამომძიებელთათვის მინიმალურ კრიტერიუმად განსაზღვრულია უმაღლესი იურიდიული განათლება; გამომძიებლად მუშაობის ან საგამოძიებო სამსახურში სტაჟირების არანაკლებ 6-თვიანი გამოცდილება; საოფისე კომპიუტერული პროგრამების სრულყოფილი ცოდნა; უცხო ენის ცოდნა (სასურველია) და ტრენინგებში, ადგილობრივ ან საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობა (სასურველია).²⁶ ამავდროულად, კრიტერიუმები მკაცრდება იმის შესაბამისად, რაც უფრო მაღალია დასაკავებელი თანამდებობა.

ფინანსური პოლიცია: გამომძიებლებისთვის სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს უმაღლესი იურიდიული განათლება, აგრეთვე, უცხო ენისა და საოფისე პროგრამების ცოდნა.²⁷ ამავდროულად, სამსახურში დანერგულია თანამშრომელთა მიღება მოსამზადებელი კურსების გავლით, რისი მიზანიც საგამოძიებო ორგანოების კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა.²⁸

სამხედრო პოლიცია: იურიდიული განათლება ასევე სავალდებულოა სამხედრო პოლიციის გამომძიებლებისთვის.²⁹

შინაგან საქმეთა სამინისტრო: თანამშრომელთა კვალიფიკაციის მხრივ, პრობლემურია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურებში დასაქმებისთვის განსაზღვრული კრიტერიუმები. ქვეყნის ყველაზე დიდ საგამოძიებო უწყებაში საქმიანობის დაწყებისთვის, „პოლიციის შესახებ“ კანონი არაგონივრულად ზოგად მოთხოვნებს ადგენს. კერძოდ, პოლიციაში სამუშაოდ მიიღება საქართველოს მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 18 წელს, ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და პიროვნული და საქმიანი თვისებების, განათლების, ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად, შეუძლია, შეასრულოს პოლიციელის ფუნქციები.³⁰ შინაგან საქმეთა მინისტრის

26 საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 24 ივნისის #51 ბრძანება „საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და საკონკურსო თემატიკის დამტკიცების“ თაობაზე, მუხლი 4.

27 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 21 აპრილის #324 ბრძანება „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამდებობებისთვის სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“, მე-3 მუხლი.

28 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში სამსახურის გავლის წესი, მესამე თავი.

29 „სამხედრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი.

30 „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლი.

მიერ დამტკიცებული წესის³¹ მიხედვით კი, პოლიციელთა სამსახურში მისაღებად საკმარისია სრული საშუალო ან უმაღლესი განათლება (იმის მიხედვით, თუ რა მაქსიმალურ ზღვრულ წოდებას ითვალისწინებს საშტატო ერთეული). აღნიშნულ წესში არსად არ არის ნახსენები დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ან იურიდიული განათლების სავალდებულობა. აგრეთვე, მინისტრი ბრძანებით დამტკიცებული წესით, თავის თავს აღჭურავს ზედმეტად ფართო დისკრეციით, გამოიყენოს ექსკლუზიური უფლებამოსილება თანამშრომელთა სამსახურში მიღებისას.³²

შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ერთიანი სტანდარტები გამომძიებლად საქმიანობის დასაწყებად. ძირითად შემთხვევაში, უმაღლესი იურიდიული განათლება წარმოადგენს სავალდებულო კრიტერიუმს, თუმცა ქვეყნის ძირითად საგამოძიებო უწყებაში (შინაგან საქმეთა სამინისტროში) მხოლოდ სრული საშუალო განათლებითაც კი შესაძლებელია, პირმა გამომძიებლის სტატუსი მიიღოს.

აგრეთვე, განსხვავებულია სხვადასხვა უწყებაში პირთა შერჩევის პროცედურები – თუკი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში ახალი თანამშრომლები, როგორც წესი, მოსამზადებელ კურსებს გადიან,³³ სხვა უწყებებში მსგავსი მექანიზმი ან საერთოდ არ არის დანერგილი, ან ნაკლებად გამოიყენება. აგრეთვე, განსხვავებულია თანამშრომელთა შემდგომი სწავლების/კვალიფიკაციის ამაღლების ინტენსივობა კონკრეტულ უწყებებში.

ინდივიდუალური გამომძიებლების მომზადების ხარისხი და კვალიფიკაცია საბოლოოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთლიანად საგამოძიებო სამსახურის საქმიანობაზე. ასეთ პირობებში მეტად რთულდება ერთიანი საგამოძიებო სტანდარტების დანერგვა და გამომძიებლებისთვის მკაფიო პასუხისმგებლობის განსაზღვრა სისხლის სამართლის გამოძიების პროცესში, რადგან ხშირ შემთხვევაში სწორედ მათი კვალიფიკაცია და მომზადების ხარისხი განსაზღვრავს გამოძიების პროცესში პროკურორის მონაწილეობის ინტენსივობას. აღნიშნული პრობლემის სიმწვავე პროკურორებთან ინტერვიუებშიც გამოიკვეთა, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდნენ, რომ ცალკეულ უწყებებში გამომძიებლების კვალიფიკაცია სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რაც ბუნებრივად იწვევს იმას, რომ მათ უწევთ გამოძიების პროცესში აქტიურად ჩართვა და, ფაქტობრივად, გამომძიებლის როლის შეთავსება. აღსანიშნავია, რომ კონკრეტულ საგამოძიებო სამსახურებში (მაგალითად, ფინანსურ პოლიციაში) მსგავსი პრობლემა არ დგას.

31 „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის #995 ბრძანება.

32 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „საგამოძიებო სისტემის ანალიზი“, პოლიტიკური ნეიტრალიტეტი პოლიციის სისტემაში, გვ. 42, 2016 წ.

33 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 2017 წლის 22 დეკემბრის 9656/15-02 წერილი.

რეკომენდაციები

საგამოძიებო სამსახურების დეცენტრალიზაციის პირობებში, რა დროსაც განსხვავებული ცალკეული უწყებების შიდა ინსტიტუციური მონყოლა და დამოუკიდებლობის ხარისხი, მნიშვნელოვნად იზრდება არაერთგვაროვანი პრაქტიკის განვითარების რისკი. ამასთანავე, საკმარისად არ არის უზრუნველყოფილი გამომძიებლების კვალიფიკაცია და მიუკერძოებლობა. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია კანონმდებლობაში გატარდეს შემდგომი ცვლილებები:

- საქმეთა საგამოძიებო ქვემდებარეობა, იუსტიციის მინისტრის ბრძანების ნაცვლად, მონესრიგდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით;
- საპროცესო კოდექსით საქართველოს მთავარი პროკურორისთვის (აგრეთვე, მის მიერ უფლებამოსილი პირისთვის) მინიჭებული უფლებამოსილება, საქმის ერთი საგამოძიებო უწყებიდან სხვა საგამოძიებო სამსახურში გადატანის თაობაზე, შეიზღუდოს იმგვარად, რომ აღნიშნულის შესაძლებლობა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ჰქონდეს მთავარ პროკურორს, სათანადო წერილობითი დასაბუთების შემთხვევაში. ამავდროულად, მთავარ პროკურორს არ უნდა შეეძლოს აღნიშნული უფლებამოსილების გადანდობა პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ;
- იმ საგამოძიებო უწყებებში, სადაც ასე არ არის, ერთმანეთისგან ინსტიტუციურად და ოპერაციულად დისტანცირდნენ გამოძიებისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი სამსახურები. ამავდროულად, თითოეულ დანაყოფში და-საქმებული თანამშრომლები სპეციალიზდნენ შესაბამის მიმართულებაზე;
- გამომძიებლებისთვის დადგინდეს ერთიანი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სხვა პროფესიულ/კეთილსინდისიერების კრიტერიუმებთან ერთად უმაღლესი იურიდიული განათლება განისაზღვროს სავალდებულო მინიმალურ მოთხოვნად ყველა საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებისთვის;
- ნორმატიულად გაიწეროს გამომძიებლების სამსახურში აყვანის განჭვრეტადი და დემოკრატიული წესები. ამ მხრივ, შესაძლებელია, სხვა უწყებებმა დანერგონ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში კადრების შერჩევა-დანიშვნის მსგავსი პროცედურები.

2. სისხლის სამართლის პროცესის ეტაპები

2.1. შესავალი

სისხლის სამართლის პროცესი რამდენიმე ეტაპს მოიცავს. ამ ეტაპებიდან საწყისი დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებაა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით გამოძიების დაწყების საფუძველია. დანაშაულებრივ ქმედებებზე სახელმწიფოს საგამოძიებო უფლებამოსილება წარმოადგენს მის ვალდებულებას საზოგადოების წინაშე, კონკრეტულ ქმედებებზე მოახდინოს მყისიერი და ეფექტიანი საპროცესო რეაგირება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიდგომა საგამოძიებო სტადიისადმი, ერთი შეხედვით, ერთმნიშვნელოვანია – დანაშაულის შესახებ ინფორმაციის ირგვლივ ყველა მოქმედება გამოძიების ფარგლებში უნდა წარიმართოს, თუმცა კანონმდებლობის სისტემური ანალიზი განსხვავებულ შედეგებზე მეტყველებს. უფრო კონკრეტულად კი, დანაშაულის შესახებ მიღებულ ინფორმაციას ყველა შემთხვევაში გამოძიების დაწყებისთვის საკმარისად არ მიიჩნევს და საპროცესო კოდექსის პარალელურად უშვებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესაძლებლობას.

კანონმდებლობაში არსებული ურთიერთსაინანააღმდეგო რეგულაციებით აბსოლუტურად იშლება ზღვარი საგამოძიებო და არასაგამოძიებო ეტაპებს შორის. საპროცესო კოდექსის იმპერატიული მოთხოვნის მიუხედავად, ბუნდოვანია, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დაიწყება გამოძიება, თუ გატარდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულაციები პირდაპირ განაპირობებს გამოძიების ალტერნატიული რეჟიმის ან ე.წ. წინასაგამოძიებო მოქმედებების პრაქტიკაში არსებობის რისკს. ამ რისკს აძლიერებს ისიც, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ბევრად დაბალი ხარისხის საპროცესო თუ სასამართლო კონტროლი ვრცელდება, ვიდრე სტანდარტულ საგამოძიებო ღონისძიებებზე.³⁴

მსგავს რისკს აჩენს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონიც, რომლის მიხედვითაც, დანაშაულის პრევენციის ერთ-ერთი ფორმა ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებაა. ამასთანავე, აღნიშნული კანონი იცნობს რამდენიმე უფლებამზღუდავ პრევენციულ მოქმედებას.³⁵ ამ ღონისძიების საფუძველი შესაძლოა, უკავშირდებოდეს დანაშაულს, მიმალვაში მყოფ პირს, უკანონო ნივთის ფლობას და სხვა ისეთ გარემოებებს, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად გამოძიების საგანია.

34 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „დანაშაულის პრევენცია, საპოლიციო კონტროლის რისკები“, 2017 წ. გვ. 31.

35 „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, კანონმდებლობაში პრობლემურია პრევენციული მოქმედებების სამართლებრივი ბუნებაც. მაღალია კონკრეტული ღონისძიებების საგამოძიებო მოქმედებებში გადაზრდის რისკი. შესაბამისად, რთულია ზოგიერთი მათგანის გამიჯვნა საგამოძიებო მოქმედებებისგან.³⁶ კვლევის წინამდებარე თავი შეეხება სწორედ ზემოაღნიშნული საკითხების საკანონმდებლო ანალიზს. ამ თავის მიზანია, გამოკვეთოს საგამოძიებო, საპოლიციო პრევენციულ და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას შორის არსებული საკანონმდებლო წინააღმდეგობები, პრევენციული ღონისძიებების საგამოძიებო ინტენსივობის რისკები. წინამდებარე თავი ასევე მოიცავს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების, რეგისტრაციისა და მასზე საპროცესო რეაგირების ანალიზს.

2.2. საპოლიციო საქმიანობა და გამოძიება

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი 2013 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით პოლიციისთვის პრევენციული უფლებამოსილების მინიჭება იყო, თუმცა პოლიცია დღეს არამხოლოდ პრევენციული მოქმედებების უფლებამოსილებით არის აღჭურვილი. პოლიციის შესახებ კანონით დადგენილი ცალკეული ღონისძიებები უშუალოდ მიემართება უკვე ჩადენილი დანაშაულის გამოვლენას, რაც უპირობოდ გამოძიების კომპეტენციას წარმოადგენს. მაგალითისთვის, კანონის 22-ე მუხლის მიხედვით, ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება წარმოებს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ეს ნივთი ან სატრანსპორტო საშუალება არის იქ, სადაც შესაძლებელია, ჩაიდინონ დანაშაული, რომლის თავიდან ასაცილებლადაც აუცილებელია ზედაპირული დათვალიერება. დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით იზღუდება ასევე პირის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება ან ნივთის ფაქტობრივი ფლობა. ამასთანავე, „პოლიციის შესახებ“ კანონის თანახმად, სპეციალური საპოლიციო კონტროლის, ე.წ რეიდის საფუძველია საკმარისი ვარაუდის არსებობა, რომ ჩადენილია ან ჩადენილი იქნება დანაშაული ან სხვა სამართალდარღვევა.³⁷

არსებული საკანონმდებლო წესრიგის ფარგლებში მაღალია რისკი, საპოლიციო პრევენცია მარტივად შეიჭრას გამოძიების კომპეტენციაში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამოძიების მიზნებისთვის სამართალდამცავებმა განახორციელონ საპოლიციო-პრევენციული ღონისძიებები. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ პრევენციული ფუნქციების მქონე უწყებები, იმავდროულად, აწარმოებენ გამოძიებასაც და ხშირ შემთხვევაში ამ ორ საქმიანობას შორის არ არის მკაფიო საკანონმდებლო მიჯნა. როგორც დავინახეთ, ზოგიერთი პრევენციული ღონისძიება თავისი ბუნებით მეტად ჰვავს საგამოძიებო მოქმედებებს (მაგალითად, პირის გამოკითხვას), ზოგიერთი საპოლიციო ღონისძიება კი მარტივად არის შესაძლებელი, გადაიზარ-

36 მაგალითად, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება.

37 „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 24.

დოს საგამოძიებო მოქმედებაში (მაგალითად, ზედაპირული დათვალერება – ჩხრეკაში). პრევენციული ღონისძიებების სისხლისსამართლებრივი ინტენსივობა განსაკუთრებით იმ კუთხითაა პრობლემური, რომ საგამოძიებო მოქმედებებისგან განსხვავებით, საპოლიციო მექანიზმებზე დაბალია საპროკურორო ზედამხედველობის სტანდარტი და სასამართლო კონტროლიც მხოლოდ post factum არის შესაძლებელი.

ნათელია, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ ქმედებაზე ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და მასზე რეაგირების მიზნით, საპოლიციო პრევენციული ღონისძიებების შესაძლებლობას, რაც ალოგიკური და გაუმართლებელია. ეს ღონისძიებები არ მოიზრება საგამოძიებო ან სხვა სისხლისსამართლებრივ საპროცესო მექანიზმებად და როგორც აღინიშნა, მათზე არ ვრცელდება პროკურორის საპროცესო ზედამხედველობა. ამავდროულად, ცალკეულ შემთხვევებში, უფლებაში ჩარევის ფარგლები არც ისე მკაფიოა და კანონით არასაკმარისადაა დაზღვეული, რომ ასეთმა ჩარევამ სისხლისსამართლებრივ ინტენსივობას არ მიაღწიოს.³⁸

ამკარაა, რომ კანონმდებელი ვერ უზრუნველყოფს მკაფიო საზღვრის გავლენას საგამოძიებო და პრევენციულ ღონისძიებებს შორის. განსაკუთრებით იმგვარი საპოლიციო ღონისძიების განხორციელებისას, რომელიც თავისი სამართლებრივი ბუნებით მეტწილად საპროცესო-სამართლებრივი ხასიათისაა და აქვს არა იმდენად პრევენციული, რამდენადაც საგამოძიებო ბუნება. ამგვარი საპოლიციო მოქმედებები, რასაკვირველია, შეიცავს ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მაღალ რისკს. მით უმეტეს იმ გარემოებაში, როცა საგამოძიებო და პრევენციული უფლებამოსილება ერთი ორგანოს ხელშია მოქცეული და კანონი არ ითვალისწინებს უფლებათა დაცვის მექანიზმებს. ამ პირობებში შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელი პირს მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის, კეთილსინდისიერების იმედად ტოვებს.

2.3. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილებაა. განსაზღვრული მიზნების მისაღწევად კანონი რამდენიმე სახის ღონისძიებას ითვალისწინებს. მათ შორის: პირის გამოკითხვას, ცნობების შეგროვებასა და ვიზუალურ კონტროლს, კონტროლირებად მიწოდებას, პიროვნების იდენტიფიკაციასა და სხვა³⁹. კანონით დადგენილი კონკრეტული მოქმედების სახეები ცხადყოფს, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მიმართულია არა მხოლოდ დანაშაულის გამოვლენის, აღკვეთის, თავიდან აცილებისკენ, არამედ უკვე დასრულებულ ან დაუსრულებელ დანაშაულებრივ ქმედებაზე რეაგირებისკენ/მათ შესახებ ფაქტობრივი გარემოებების დადგენისკენ.

38 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „უხილავი ძალაუფლების პოლიტიკა“, 2015 წ. გვ: 46.

39 „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7.

ლონისციების ცალკეულ სახეებთან ერთად პრობლემურია უშუალოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების საფუძვლებიც. ხშირად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ეფუძნება პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამოძიებლის დავალებას. კანონმდებელი ამ საფუძვლით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას უშვებს იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამის ორგანოში მიღებულია შეტყობინება ან განცხადება რომ მზადდება, ხდება ან მოხდა დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომლის გამოც აუცილებელია გამოძიების ჩატარება, მაგრამ არ არსებობს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ნიშნები, რაც საკმარისი იქნებოდა გამოძიების დასაწყებად⁴⁰. აღნიშნული დებულება პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეგულაციებთან, რამდენადაც საპროცესო კოდექსი ნებისმიერი სახით დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, იმპერატიულად მოითხოვს გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყებას.⁴¹

აღნიშნული წესი ვრცელდება როგორც უკვე ჩადენილ და დასრულებულ დანაშაულზე, ასევე დანაშაულის მომზადებისა თუ მცდელობის შესახებ ინფორმაციაზე (თუკი კანონმდებლობით, შესაბამისი დანაშაულის მომზადება და მცდელობა დასჯადად არის მიჩნეული). ამდენად, კანონმდებლობა, ერთი მხრივ, საპროცესო კოდექსის ფარგლებში ადგენს ინფორმაციაზე საგამოძიებო რეაგირების ვალდებულებას, მეორე მხრივ კი, სამართალდამცავებს აძლევს შესაძლებლობას, ინფორმაციის საფუძველზე გაატარონ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და ამ გზით მოიპოვონ გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ისე, რომ გამოძიების დაწყების ვალდებულებას თავი აარიდონ.⁴²

გამოძიებისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საფუძვლებს შორის კანონმდებლობაში არსებული ურთიერთწინააღმდეგობები ცალსახაა. საპროცესო კოდექსით, გამოძიების დაწყების ვალდებულება წარმოიქმნება შესაბამისი დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე⁴³. კოდექსი გამოძიების დასაწყებად არ მოითხოვს რაიმე სპეციალურ სტანდარტს, არ ადგენს ინფორმაციის სანდოობის ხარისხს. ამის საპირისპიროდ კი, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი ხაზს უსვამს სწორედ არსებული ინფორმაციის ხარისხს კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად⁴⁴.

კანონმდებლობაში ამგვარი ბუნდოვანი ჩანაწერები ზრდის შესაბამისი ორგანოების თვითნებობის რისკს. სამართალდამცავებს ექმნებათ შესაძლებლობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოუკიდებლად, შესაბამისი საკანონმდებლო კრიტერიუმების გარეშე შეაფასონ მიღებული ინფორმაცია და გადაწყვიტონ, რეაგირება უნდა მოახდინონ საგამოძიებო თუ

40 „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 8, პუნქტი პირველი, ქვეპუნქტი „ბ“.

41 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 100.

42 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „დანაშაულის პრევენცია (საპოლიციო კონტროლის რისკები)“, 2017 წ. გვ: 31

43 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 100.

44 „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 8.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ფარგლებში. იმის გათვალისწინებით, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ბევრად მცირეა საპროკურორო და სასამართლო კონტროლის ხარისხი, ვიდრე ეს საგამოძიებო ღონისძიებებზე განსაზღვრული, ლოგიკურია, რომ კონკრეტული სამართალდამცავი სწორედ პირველ მათგანს მიანიჭებს უპირატესობას და მის ფარგლებში შეეცდება საქმისთვის საჭირო ცნობების მოგროვებას.

დანაშაულის შესახებ ინფორმაციაზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით რეაგირება, ე.წ. წინასაგამოძიებო მოქმედებების გატარება პრაქტიკული საქმიანობის მყარი ნაწილია. ეს სტადია პრაქტიკაში ინფორმაციის „გადამოწმებად“ არის შეფასებული. ამ მეთოდს სამართალდამცავი ორგანოები რეალური ვითარების გამოსარკვევად მიმართავენ, თუმცა არა საპროცესო პროცედურებით, არამედ ხელოვნურად დამკვიდრებული მექანიზმებით, რომლებიც აბსოლუტურად მოკლებულია პროცესუალურ სტანდარტებსა და გარანტიებს. ეს მეთოდები და თანამდევნი პრობლემები ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება განხილული, მანამდე კი უნდა აღინიშნოს, რომ როგორც აკადემიური წრის წარმომადგენლები, ასევე პრაქტიკოსები, საპროცესო კოდექსის ფარგლებს გარეთ არსებულ მექანიზმებს უმეტესწილად პრობლემურად აფასებენ და მიზანშეწონილად მიიჩნევენ ამ პროცედურების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ფარგლებში მოქცევას⁴⁵.

2.4. დანაშაულის თაობაზე ინფორმაციის სახეები

დანაშაულის შესახებ ინფორმაციის სამართალდამცავი ორგანოები სხვადასხვა სახით იღებენ. გამოძიება შესაძლოა, დაიწყოს იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც გამოძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს, გამოვლინდა სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შესაბამისი ორგანოებისთვის დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდების სპეციალურ ფორმას არ აწესებს. უფრო კონკრეტულად კი, დანაშაულის თაობაზე მიწოდებული ინფორმაცია შესაძლოა, იყოს ზეპირი, წერილობითი ან სხვაგვარად დაფიქსირებული.⁴⁶ გამოძიების დასაწყებად კოდექსი არ ადგენს რაიმე ტესტს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროს ავთენტურობისთვის, არამედ შესაბამის პირებს ნებისმიერი სახით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აკისრებს გამოძიების ვალდებულებას.

პრაქტიკაში, დანაშაულის შესახებ მიღებული ინფორმაცია მასზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე რამდენიმე ეტაპს გადის. უპირველეს ყოვლისა, მიღებული ინფორმაცია უნდა დარეგისტრირდეს იმის მიუხედავად, თუ რა ფორმით მიწოდება შესაბამის ორგანოს (იქნება ეს წერილობითი, ზეპირი, სატელეფონო შეტყობინების სახით, ბრალის

45 ინფორმაცია ეყრდნობა კვლევის ფარგლებში აკადემიური წრის წარმომადგენლებსა და პრაქტიკოსებთან ინტერვიუების შედეგებს.

46 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 101.

აღიარებით თუ სხვა). დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ზეპირი ან სატელეფონო ზარის მეშვეობით ინფორმაციის მიღების, ან ბრალის აღიარებით გამოცხადების შემთხვევაში, შესაბამისი პირი ადგენს შეტყობინების მიღების ოქმს⁴⁷. განმცხადებლის მიერ მისი დადასტურების შემთხვევაში, ოქმი ინფორმაციის სახით უნდა დარეგისტრირდეს.

ხშირ შემთხვევაში პირი უშუალოდ მიმართავს პოლიციას უკვე გამზადებული განცხადებით ან იქვე ადგენს განცხადების ტექსტს. როგორც ჩანს, პრაქტიკაში ყველაზე პრობლემური სწორედ ის შემთხვევებია, როდესაც განმცხადებელი შესაძლო დანაშაულის შესახებ განცხადებას წერს უშუალოდ პოლიციის ორგანოებში. როგორც კვლევის ფარგლებში შესაბამის პირებთან ინტერვიუებით იკვთება, არის შემთხვევები, როდესაც პოლიციის თანამშრომლები ქვეყანაში არსებული სტატისტიკური მდგომარეობის გაუარესების თავიდან ასაცილებლად, ცდილობენ ინფორმაციის შინაარსის იმგვარად ჩამოყალიბებას, რომ მასში დანაშაულის ნიშნები არ გამოიკვეთოს.⁴⁸ სტატისტიკურ მონაცემებთან დაკავშირებული პრობლემები უფრო დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული.

2.5. დანაშაულის შესახებ შეტყობინების რეგისტრაცია

უნდა აღინიშნოს, რომ, ძირითადად, შესაბამის ორგანოებში დანაშაულის შესახებ მიღებული ინფორმაციის რეგისტრაციის ერთიანი სპეციალური წესი არ მოქმედებს. ამ სახის ინფორმაციას საქმისწარმოების ზოგად რეგულაციას ექვემდებარება (საქართველოს მთავარ პროკურატურაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში).⁴⁹ ამ მხრივ განსხვავებული ვითარებაა შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც დანაშაულის შესახებ მიღებული ინფორმაციის რეგისტრაციის წესი მინისტრის ბრძანებითაა განსაზღვრული⁵⁰. ბრძანების მიხედვით, სამინისტროში ნებისმიერი სახით შესული ინფორმაციის რეგისტრაცია სავალდებულოა ელექტრონულ სისტემაში და რეგისტრაციაზე უარის თქმა აკრძალულია. ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში კი, შეტყობინებები რეგისტრირდება შესაბამის სააღრიცხვო ფურნალში. რეგისტრაციისას მაქსიმალური სიზუსტით უნდა იყოს დაცული განცხადების შინაარსი და მისი ინტერპრეტირება დაუშვებელია. განცხადების მიღების თარიღისა და დროის დაფიქსირება კი, სავალდებულოა. ბრძანება ასევე განსაზღვრავს დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით ინფორმაციის გადამისამართების წესს. მათ შორის

47 გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, 2017, თბილისი, გვ:20-23,

48 შეფასება ეყრდნობა კვლევის ფარგლებში აკადემიური წრის წარმომადგენლებსა და პრაქტიკოსებთან ინტერვიუების შედეგებს.

49 შეფასება ეყრდნობა კვლევის ფარგლებში დანაშაულის შესახებ მიღებული ინფორმაციის რეგისტრაციის სპეციალურ წესთან დაკავშირებით საქართველოს მთავარი პროკურატურიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის შედეგებს.

50 იხ: „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემოსული დანაშაულის ნიშნების შემცველი ან/და სხვა შეტყობინების ელექტრონული ფორმით რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 14 აპრილის ბრძანება.

ადგენს მძიმე, განსაკუთრებით მძიმე და რეზონანსული დანაშაულების ნიშნების შემცველი შეტყობინების დაუყოვნებლივი გადაგზავნის ვალდებულებას სამინისტროს ადმინისტრაციის ოპერატიულ-სამორიგო სამსახურში.

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს სისტემაში დანაშაულის შესახებ მიღებული შეტყობინების რეგისტრაციის ერთიანი, სპეციალური წესი მოქმედებს, აღნიშნული რეგულაცია პრობლემურია რამდენიმე თვალსაზრისით: აღსანიშნავია, რომ განხილული ბრძანებით, შეტყობინების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გადაცემა განმცხადებლისთვის სავალდებულო არ არის. უფლებამოსილი თანამშრომელი (მორიგე) მხოლოდ განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაშია ვალდებული, გადასცეს მას რეგისტრაციის ბარათი (თარიღი და ნომერი). ინსტრუქციაში მითითებულია რეგისტრაციისას აკრძალული შემთხვევები (რეგისტრაციაზე უარის თქმა, რეგისტრაციისას განცხადების შინაარსის ინტერპრეტირება და სხვა), თუმცა, ამის პარალელურად, სპეციალური ნორმა, რომელიც უშუალოდ დანაშაულის შესახებ მიღებული ინფორმაციის/შეტყობინების რეგისტრაციის წესის დარღვევისთვის დაადგენს პასუხისმგებლობას, არ არის შემუშავებული. ამასთან, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციის წესის დარღვევა დისციპლინური სტატისტიკის დამუშავებისას ცალკე პუნქტად არ აღირიცხება. ზოგადი ნორმებით სტატისტიკის წარმოებისას კი რთულია, განისაზღვროს, სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვან შესრულებად უშუალოდ დანაშაულის რეგისტრაციის წესის დარღვევა იქნა მიჩნეული, თუ სხვა დისციპლინური გადაცდომა იგულისხმა ნორმის შემფარდებელმა. ასეთი ვითარება კი გამორიცხავს დანაშაულის შესახებ მიღებული ინფორმაციის რეგისტრაციის ნაწილში სტატისტიკის გამჭვირვალობას, საზოგადოებისადმი ხელმისაწვდომობას და კონტროლს.

დანაშაულის შესახებ ინფორმაცია სხვა სახის ინფორმაციებთან ერთად, რომლებზეც შესაბამისმა ორგანოებმა უნდა დაიწყონ წარმოება, მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. რეგისტრაციის გამართული სისტემის არსებობით, სახელმწიფო გამოხატავს მზადყოფნას, ეფექტიანი რეაგირება მოახდინოს ნებისმიერ დანაშაულებრივ ქმედებაზე და ამით დაიცვას როგორც კონკრეტული პირის, ასევე საჯარო ინტერესი. სხვადასხვა ორგანოში დანაშაულის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციის სპეციალური წესის არარსებობა კი თავისთავად გამორიცხავს რეგისტრაციის პროცედურაზე როგორც გარე, ასევე შიდა ინსპექტირების სამსახურების ეფექტიანი კონტროლის შესაძლებლობას.

2.6. დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გადამოწმება

დანაშაულის შესახებ მიღებული ინფორმაციის რეგისტრაციის შემდგომი ეტაპი გამოძიების დაწყებაა. სისხლისსამართლებრივი დევნისგან განსხვავებით, გამოძიება დისკრეციული ხასიათის უფლებამოსილება არ არის. შესაბამისად, მიღებული ინფორმაცია გამოძიების დაწყების უპირობო საფუძველს წარმოადგენს. დანაშაულის შესახებ

ინფორმაციაზე იმპერატიული საგამოძიებო ვალდებულების წარმოშობა თავისთავად არ შეიძლება, შეფასდეს საპროცესო კოდექსის ნაკლოვანებად. პირიქით, საგამოძიებო ვალდებულება, საგამოძიებო დისკრეციისგან განსხვავებით, ხელს უშლის სახელმწიფოში „დაუსჯელობის კულტურის“ დამკვიდრებას.⁵¹

როგორც კვლევის ფარგლებში ნორმის უშუალოდ გამოყენებულ პირებთან ინტერვიუებით იკვეთება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმპერატიული ჩანაწერის მიუხედავად, გამოძიების დაწყებაზე უფლებამოსილ პირებს შორის არ არსებობს ერთიანი შეთანხმებული პოზიცია, უნდა დაინყოს თუ არა გამოძიება დანაშაულის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის საფუძველზე. პრაქტიკაში დანაშაულებრივი ქმედების შესახებ მიღებული ინფორმაცია სხვადასხვაგვარად ხარისხდება. უფრო კონკრეტულად კი, საგამოძიებო ორგანოები გამოყოფენ:

- ინფორმაციას, რომლიდანაც ერთმნიშვნელოვნად იკვეთება დანაშაული;
- სადავო ინფორმაციას, რომლიდანაც მკაფიოდ არ ვლინდება დანაშაული;
- ინფორმაციას, რომელიც სხვა ტიპის სამართლებრივ ან ფაქტობრივ პრობლემაზე მიუთითებს და არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს.⁵²

მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კოდექსით, ინფორმაციის რეგისტრაციის თანმდევი პროცესი მხოლოდ გამოძიებაა, პრაქტიკა იცნობს მიღებული ინფორმაციის „შეფასების“, მისი „გადამოწმების“ შემთხვევებს, სანამ ოფიციალურად დაინყება გამოძიება. წინასწარი შეფასების წესი და სტანდარტი კი არაერთგვაროვანია. დანაშაულზე მიღებული ინფორმაციის შეფასებაში, უმეტესწილად, მონაწილეობს როგორც გამოძიებელი, ასევე პროკურორი. პრაქტიკაში, დანაშაულის შესახებ ინფორმაციაზე, როგორც წესი, სამი სახის გადაწყვეტილება მიიღება: გამოძიების დაწყება (თუკი დანაშაულებრივი ქმედება მკაფიოდ ვლინდება ინფორმაციიდან), მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ე.წ. წინასაგამოძიებო მოქმედებების განხორციელება (ინფორმაციის „გადამოწმების“ სახით, თუ სადავოა დანაშაულის ნიშნების არსებობა ქმედებაში) და გამოძიების დაწყებაზე უარის თქმა (იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია დანაშაულებრივ ფაქტებზე არ მიუთითებს და სხვა სახის ფაქტობრივ გარემოებებს ან სამართლებრივ პრობლემებს აღწერს).

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით პრობლემურია ინფორმაცია, რომლიდანაც მკაფიოდ არ იკვეთება დანაშაულებრივი ქმედება. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში შესაბამისი პირები ხელოვნურად მიმართავენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის

51 Eileen Overbaugh, Human Trafficking: The Need for Federal Prosecution of Accused Traffickers, 39 Seton Hall L. Rev. 635, 641-42 (2009).

52 ინფორმაცია ვერდნობა კვლევის ფარგლებში აკადემიური წრის წარმომადგენლებსა და პრაქტიკოსებთან ინტერვიუების შედეგებს.

პარალელურად დანერგილ მექანიზმს ე.წ. წინასაგამოძიებო მოქმედებების სახით „ინფორმაციის გადამონმებას“. როგორც აღინიშნა, „გადამონმება“ სხვადასხვა მეთოდით ხორციელდება, თუმცა ის ცალსახად არ მიმდინარეობს საპროცესო-სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით და არ განიხილება, როგორც საგამოძიებო მოქმედება. პრაქტიკაში ინფორმაციის „გადამონმების“ ეტაპი მიიჩნევა სტადიად, რომელიც წინ უსწრებს გამოძიებას და რომლის შედეგების შესაბამისად მიიღება გადაწყვეტილება გამოძიების დაწყების ან/და მასზე უარის თქმის შესახებ.

მიღებული ინფორმაციის „გადამონმებისას“ განსხვავებული მეთოდებია დამკვიდრებული. ამ პროცესში შესაბამისი ორგანოები ხშირად მიმართავენ ე.წ. სამსახურებრივ მოკვლევას, გასაუბრებას, დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვას იმ პირისგან, ვისთანაც გასაუბრება ჩატარდა და სხვა. ინფორმაციის გადამონმების მიზნით „გასაუბრება“, როგორც წესი, ინფორმაციის ავტორთან ხდება. შესაძლოა, გამოძიებელი ასევე გაესაუბროს უშუალოდ იმ პირს, რომლის მიერაც არის მიღებული ინფორმაცია შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების შესახებ. გასაუბრება ასევე შესაძლებელია შედგეს სხვა ნეიტრალურ პირებთანაც, რომლებიც ამ ფაქტებთან უშუალო შემხებლობაში არ არიან.⁵³

აღსანიშნავია, რომ დანაშაულზე ამგვარი რეაგირების ფორმებს საერთოდ არ ითვალისწინებს საპროცესო კოდექსი და ის აბსოლუტურად გაურკვეველი ფორმით და პროცედურით ხორციელდება. მსგავსი პრაქტიკა, გარდა იმისა, რომ აცდენილია საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს, პრობლემურია იმ კუთხითაც, რომ არ ხდება პირის გაფრთხილება ცრუ ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. ამ პროცესში პირს არ განემარტება დაცვის უფლებები. აღნიშნული ღონისძიებები არც დროში არ არის შეზღუდული. ასეთ ვითარებაში შესაბამისი პირები თავისუფალნი არიან, განსაზღვრონ მათთვის სასურველი და ეფექტიანი მეთოდი, გადამონმების დრო და ხანგრძლივობა. განმცხადებელს არ აქვს არავითარი საპროცესო შესაძლებლობა, გააკონტროლოს ე.წ. წინასაგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობა და დროულად მიიღოს ინფორმაცია მის მიერ შეტანილი ინფორმაციის/განცხადების შესახებ.

მსგავსი მიდგომა ზრდის სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან თვითნებობისა და გამოძიების არდაწყების ან გაჭიანურების რისკს. ამავდროულად, გადამონმების პროცესი მოითხოვს მნიშვნელოვან ძალისხმევას, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ის არ წარმოებს საპროცესო კოდექსის ნორმების საფუძველზე, გადამონმებით მოპოვებულ ინფორმაციას მტკიცებულებითი ღირებულება არ აქვს. შესაბამისად, საქმეზე გამოძიების დაწყების შემთხვევაში, გამოძიების ორგანოს განმეორებით უნევს პირების დაბარება და წინასაგამოძიებო მეთოდებით მიღებული ინფორმაციის გამოძიების ფორმატში მოქცევა.

53 ინფორმაცია ვერდნობა კვლევის ფარგლებში აკადემიური წრის წარმომადგენლებსა და პრაქტიკოსებთან ინტერვიუების შედეგებს.

2.7. დანაშაულის სტატისტიკის გავლენა

პრაქტიკაში წინასაგამოძიებო ეტაპის დამკვიდრებას შესაძლოა, დანაშაულების სტატისტიკაზე ხელოვნური ზეგავლენის მიზანიც ჰქონდეს. მართალია, საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლები დანაშაულის სტატისტიკის რაიმე გავლენას არ ადასტურებენ, მაგრამ მიუთითებენ, რომ სტატისტიკა არ უნდა იყოს განმსაზღვრელი მათ საქმიანობაში. ზოგადად, სამინისტროს ხელმძღვანელობისთვის სტატისტიკა და გახსნილი დანაშაულის მაჩვენებელი წლების განმავლობაში წარმატების ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორად იყო დასახული, რამაც გაზარდა სტატისტიკის გავლენა პოლიციელების ყოველდღიურ საქმიანობაზე. კონკრეტული გამოძიებლები აცხადებენ, რომ სტატისტიკას არ უნდა ჰქონდეს მათი საქმიანობის განმსაზღვრელი ფუნქცია.⁵⁴

სტატისტიკის გავლენას საგამოძიებო ეტაპზე აღნიშნავენ აკადემიური წრის წარმომადგენლებიც. მათი პოზიციით, დანაშაულის სტატისტიკის ფაქტორი დიდწილად განსაზღვრავს სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას. არსებულ ვითარებაში კონკრეტულ სამოქმედო ტერიტორიაზე „კარგი სტატისტიკური“ მდგომარეობა სამართალდამცავი სუბიექტების სამსახურებრივ გარანტიადაც შეიძლება შეფასდეს. ასეთ პირობებში რთულია, გამოძიების დაწყებაზე უფლებამოსილი პირები მოქმედებდნენ კეთილსინდისიერების დაცვით და შესაბამის ინფორმაციაზე ჰქონდეთ არა ე.წ. წინასაგამოძიებო, არამედ უშუალოდ საგამოძიებო რეაგირება.⁵⁵ აშკარაა, რომ დანაშაულის შესახებ მიღებულ ინფორმაციაზე არასაპროცესო რეაგირებით, სამართალდამცავი ორგანოები გამოძიების დაწყების გარეშე ცდილობენ ვითარების შესწავლას და ამ გზით დანაშაულის სტატისტიკის გაუარესების თავიდან აცილებას.

საპროცესო კოდექსის სისტემური ანალიზი ცხადყოფს, რომ გამოძიების დაწყების შესახებ დამკვიდრებული პრაქტიკა აბსოლუტურად ეწინააღმდეგება საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს. ნებისმიერი ინფორმაციის საფუძველზე გამოძიების უპირობო დაწყების ვალდებულება იკვეთება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის ჩანაწერიდანაც. ამ ნორმით, გამოძიება შესაძლოა, შეწყდეს ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც არ არსებობს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება. ცალსახაა, რომ კოდექსი გამოძიების დაწყებას მოითხოვს, მათ შორის, იმის დასადგენად, არსებობს თუ არა დანაშაულის ნიშნები კონკრეტულ ქმედებაში. გამოძიება უნდა შეწყდეს ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ან შეწყდეს თუ გამოძიების პროცესში მოპოვებული მტკიცებულებით არ დადასტურდება დანაშაულის არსებობა.⁵⁶

54 ინფორმაცია ეყრდნობა კვლევის ფარგლებში პროკურორებსა და გამოძიებლებთან ინტერვიუების შედეგებს.

55 ინფორმაცია ეყრდნობა კვლევის პროცესში აკადემიური წრის წარმომადგენლებსა და პრაქტიკოსებთან ინტერვიუების შედეგებს.

56 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, გვ: 337

2.8. გამოძიების დაწყების შესახებ პროკურორის და განმცხადებლის ინფორმირება

საპროცესო კოდექსით, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და შესაბამისად, გამოძიების დაწყების შემთხვევაში, გამოძიებელს წარმოეშობა ვალდებულება, აღნიშნულთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ შეატყობინოს საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორს. პრაქტიკაში არც გამოძიების დაწყების შესახებ პროკურორის ინფორმირების ერთიანი სტანდარტი არსებობს, აგრეთვე, განსხვავებულად განიმარტება საპროცესო კოდექსის სავალდებულო მითითება დაუყოვნებლივ ინფორმირების შესახებ. არ არის დადგენილი ინფორმირების ერთიანი, სავალდებულო ფორმა, მეთოდი. საპროცესო კოდექსი, მართალია, ადგენს ინფორმირების აუცილებლობას, თუმცა არ მიუთითებს, რა სახით ინფორმირება შეიძლება იყოს საკმარისი საპროცესო სამართლებრივი მიზნებისთვის.

დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და აღნიშნულ ინფორმაციაზე საგამოძიებო რეაგირების თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თავდაპირველი რედაქცია შეიცავდა აღნიშნულ ინფორმაციაზე რეაგირების კონტროლის მექანიზმს. კონკრეტულად კი, გამოძიებელს/პროკურორს ჰქონდა განმცხადებლის ინფორმირების ვალდებულება გამოძიების დაწყების შესახებ, გამოძიების დაწყებიდან სამი დღის ვადაში.⁵⁷

კოდექსის დღეს მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედების შესახებ განმცხადებლის შესაძლებლობას, მიიღოს დანაშაულის შესახებ შეტყობინების დამადასტურებელი წერილობითი ცნობა.⁵⁸ თუმცა გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ ნორმას არ აქვს სავალდებულო ხასიათი, შესაბამისი ორგანოებისათვის⁵⁹ და შეტყობინების შესახებ ცნობის მიღებაც დამოკიდებული ხდება მათ შეხედულებაზე. პრობლემას სრულად ვერ აგვარებს ისიც, რომ დაზარალებულს აქვს უფლება, ფლობდეს ინფორმაციას გამოძიების მიმდინარეობის შესახებ,⁶⁰ რადგან ინფორმაციის მიმწოდებელი ყველა შემთხვევაში არ არის პირი, რომელსაც შემდგომში აღნიშნულ საქმეზე დაზარალებულის სტატუსი მიენიჭება და შეძლებს გამოძიების მიმდინარეობაზე კონტროლს.

57 იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 100, 2010 წლის 7 დეკემბრის N3891 ცვლილებამდე რედაქცია.

58 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 101.

59 იქვე: ნაწილი 2¹.

60 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 57.

რეკომენდაციები

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საგამოძიებო და არასაგამოძიებო ეტაპებს შორის მკაფიო მიჯნის არარსებობა, პრევენციული ღონისძიებების სისხლისსამართლებრივი ინტენსივობა და მათი საგამოძიებო სტადიაში გადაზრდის რისკი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პარალელურად, პრაქტიკაში ხელოვნურად დამკვიდრებული ე.წ. წინასაგამოძიებო ეტაპი, რომელიც არც კი ექვემდებარება საკანონმდებლო რეგულაციას. არანაკლებ პრობლემურია ქვეყანაში დანაშაულებრივ სტატისტიკასთან დაკავშირებით არსებული ვითარება და მისი გავლენის ხარისხი საპროცესო სტადიებზე.

არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, მიზანშეწონილია:

- „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულაციები იმგვარად ჩამოყალიბდეს, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იყოს მხოლოდ პრევენციული მიზნებისთვის, რათა უკვე ჩადენილ დანაშაულზე რეაგირება მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ფარგლებში საგამოძიებო მოქმედებებით იყოს შესაძლებელი;
- გამოძიების პარალელური მექანიზმების თავიდან აცილების მიზნით, გაუქმდეს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის“ შესახებ საქართველოს კანონი. მასში არსებული საგამოძიებო ეფექტის მქონე მექანიზმები, ისევე, როგორც „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, სისხლისსამართლებრივი ინტენსივობის მქონე ღონისძიებები, მოექცეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში;
- მნიშვნელოვანია, გაუქმდეს პრაქტიკაში დამკვიდრებული ე.წ. წინასაგამოძიებო ეტაპი და შესაბამისმა ორგანოებმა გამოძიება დაიწყონ მყისიერად, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, მხოლოდ საპროცესო კოდექსის ფარგლებში და დადგენილი წესით;
- ყველა საგამოძიებო ორგანოში დაინერგოს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციის სპეციალური წესი, რომელიც რეგისტრაციის ინსტრუქციასთან ერთად განსაზღვრავს რეგისტრაციის პროცესის კონტროლის მექანიზმებს მაკონტროლებელი დანაყოფის ფუნქციებისა და რეგისტრაციის წესის დარღვევისთვის დაადგენს შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომებს;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით შესაბამისი ორგანოებისთვის სავალდებულო გახდეს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციის შემთხვევაში, განმცხადებლისთვის დანაშაულის თაობაზე შეტყობინების მიღების წერილობითი ცნობის გაცემა;
- თავისთავად, დანაშაულის სტატისტიკას, სხვა ფაქტორებისგან იზოლირებულად, არ უნდა მიენიჭოს მნიშვნელობა კონკრეტული საგამოძიებო უწყების თუ თანამდებობის პირის საქმიანობის შეფასებისას, რადგან აღნიშნული საბოლოო ჯამში იწვევს დანაშაულის რეგისტრაციისა და, ზოგადად, სტატისტიკის სწორად წარმოების პრობლემებს.

3. გამოძიება და მტკიცებულების მოპოვების პროცესი

3.1. შესავალი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, სისხლისსამართლებრივი დევნისგან განსხვავებით, გამოძიებაზე სახელმწიფოს სრული მონოპოლია არ ვრცელდება. შეჭიბრებითი პროცესის ფარგლებში გამოძიებისას თანაბარი მდგომარეობის მისაღწევად, მხარეებს უნდა ჰქონდეთ როგორც მტკიცებულებათა მოპოვების, ასევე ურთიერთშორის მტკიცებულებათა გაცვლის შესაძლებლობა. ამ მოდელში ერთგვარად იზღუდება სახელმწიფოს ერთპიროვნული ძალაუფლება სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე და ის აძლიერებს დაცვის მხარის შესაძლებლობას, დამოუკიდებლად მოიპოვოს მტკიცებულებები.⁶¹ მოქმედი საპროცესო კოდექსი, მართალია ემყარება შეჭიბრებითი სისტემის ძირითად პრინციპებს, თუმცა სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მის დამკვიდრებას. კოდექსის ფარგლებში პრობლემურია მხარეთა თანასწორი საგამოძიებო უფლებამოსილება, პროკურორის ფართო საზედამბედველო როლი გამოძიებაზე და შესაბამისად, ობიექტური, ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოძიების გარანტიები.

იმისათვის, რომ შეჭიბრებითობის ზოგად პრინციპს ეფექტიანად ემუშავა ყოველდღიურ პრაქტიკაში, საპროცესო კოდექსის პირველადი პროექტი მნიშვნელოვან სიახლეებს შეიცავდა. ამ შემთხვევაში საინტერესოა ის ჩანაწერები, რომლებიც გამოძიებისა და კონკრეტული საგამოძიებო ღონისძიებების წარმოების წესს ახლებურად აწესრიგებდა: პირველ რიგში აღსანიშნავია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის გარდაქმნა ჩვეულებრივ საგამოძიებო მოქმედებებად. ამ ცვლილებების ერთ-ერთი მთავარი არსი იყო ის, რომ საგამოძიებო მოქმედებების მსგავსი სასამართლო კონტროლი დაწესებულიყო იმ ღონისძიებებზე, რომელიც თავისი ინტენსივობით არ განსხვავდებოდა საგამოძიებო მოქმედებისგან და პოტენციურად ყველაზე მეტად იწვევდა ბრალდებულისა თუ სხვა პირის პირად ცხოვრებაში ჩარევას (მაგალითად, ფარული მოსმენა-მიყურადება, ვიზუალური კონტროლი, კონსპირაციული საქმიანობა და სხვა).⁶²

სამწუხაროდ, აღნიშნული საკანონმდებლო სიახლე ძალაში შესვლამდე გაუქმდა: 2009 წელს მიღებული საპროცესო კოდექსის გარდამავალი დებულებების მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ თავი ამოქმედდებოდა 2011 წლის აპრილში, მანამდე კი, ძალაში რჩებოდა „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ მოქმედი

61 European Journal on Criminal Policy and Research, pp.203-224, pp.204-207

62 იხ. კანონპროექტის განმარტებითი ბარათი, ა, გ..

კანონი.⁶³ თუმცა 2010 წლის 24 სექტემბრის ცვლილებით, საქართველოს პარლამენტმა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ამოიღო საპროცესო კოდექსიდან ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ ნორმები და ასევე – მითითება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის გაუქმებაზე.⁶⁴

მოგვიანებით, 2014 წლის პირველ აგვისტოს შესული ცვლილებებით⁶⁵ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონიდან საპროცესო კოდექსში გადავიდა გარკვეული ღონისძიებები⁶⁶ და მათზე გავრცელდა სასამართლო და საპროკურორო კონტროლი, თუმცა აღნიშნული რეფორმა არ იყო სისტემური ხასიათის და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონი დღემდე მოქმედებს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია კონკრეტული ღონისძიებების გატარება გამოძიების მიზნებისთვის ისე, რომ ამ მექანიზმებზე არ გავრცელდება შესაბამისი პროცესუალური სტანდარტები.

2009 წლის საპროცესო კოდექსით საკმაოდ გაძლიერდა გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობის ფარგლები და, გარკვეულწილად, შეიზღუდა გამოძიებლის დამოუკიდებლად სამოქმედო არეალიც. კერძოდ, გამოძიებელი მთლიანად მოექცა საქმის ზედამხედველი პროკურორის ხელქვეშაობის ქვეშ, ხოლო სასამართლოს ნებართვით ჩასატარებელ ყველა საგამოძიებო ღონისძიებაზე გადაწყვეტილების მიღებად განისაზღვრა პროკურორი. პროკურორსა და გამოძიებელს შორის უფლებამოსილებათა ამგვარი არათანაბარი გადანაწილება, შეჭიბრებითი მოდელისთვის, როგორც წესი, დამახასიათებელი არ არის. აღსანიშნავია, რომ არსებული კანონმდებლობით, გამოძიებელი ბრალდების მხარეა. ასეთ ვითარებაში კი რთულია, არსებობდეს ნდობა გამოძიებლის მიმართ, აწარმოოს გამოძიება ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად.

კვლევის ეს ნაწილი მოიცავს კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების საკანონმდებლო ანალიზს, საგამოძიებო ეტაპზე პროკურორის მონაწილეობის ხარისხის შეფასებას და მის შედარებას კლასიკურ შეჭიბრებით სისტემებთან. ასევე, წარმოდგენილია იმ პრობლემების ანალიზი, რაც ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოძიებას და პროკურორის საზედამხედველო უფლებამოსილებებს უკავშირდება.

63 საპროცესო კოდექსში ასევე იყო მითითება, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ თავს ექნებოდა დროებითი ხასიათი და იუსტიციის სამინისტრო მოამზადებდა ახალ კანონს, რომელიც სრულიად ახლებურად დაარეგულირებდა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს.

64 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, 2012 წ.

65 საქართველოს 2014 წლის პირველი აგვისტოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, იხ. შემდეგ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2457218#DOCUMENT:1>;

66 სატელეფონო საუბრის მიყურადება და ჩანერა; ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან; საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის კონტროლი; ფარული ვიდეო და აუდიოჩანერა, კინო- და ფოტოგადაღება; ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹ მუხლი)

3.2. პროკურორის სტატუსი და მისი მონაწილეობის ხარისხი საგამოძიებო ღონისძიებებში

გამოძიების პროცესში სახელმწიფოს ფართო ადმინისტრაციულ-მატერიალური რესურსების შეზღუდვისთვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს, რომ ერთმანეთისგან ოპერაციულად და ინსტიტუციურად დისტანცირებულნი იყვნენ გამოძიებისა და საპროკურორო ფუნქციებით აღჭურვილი ორგანოები. ამისთვის კი საჭიროა, კანონმდებლობით ნათლად იყოს განსაზღვრული გამოძიებლისა და პროკურორის სტატუსები, ინსტიტუციური მიზნები და მათ შორის არსებობდეს კონკრეტული სტრუქტურული ბარიერები – შემომშენებლისა და განონასწორების მექანიზმები.

ქართული კანონმდებლობა, ერთი შეხედვით, მკაფიოდ განსაზღვრავს პროკურორის სტატუსს და მას ექსკლუზიურად ანიჭებს სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საპროცესო კოდექსის თანახმად, პროკურატურა კონკრეტული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოა. აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად კი, სხვა სამართლებრივ ბერკეტებთან ერთად, ის აღჭურვილია გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის უფლებამოსილებით.⁶⁷

პროკურორი საგამოძიებო ეტაპზე საკმაოდ აქტიურ სუბიექტად გვევლინება და საპროცესო კოდექსის თანახმად, გამოძიებაში სანყისი ეტაპიდანვე ერთვება.⁶⁸ გამოძიებისას პროკურორის ჩართულობა გამოიხატება გამოძიებლისთვის სავალდებულო მითითებების მიცემაში; საგამოძიებო ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაცვით, სისხლის სამართლის საქმის გამოძიების კონკრეტული გამოძიებლისთვის დავალებაში ან პირიქით, გამოძიებლისთვის საქმის ჩამორთმევაში. პროკურორს ასევე უფლება აქვს, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა გამოძიებაში ან სრულად აიღოს აღნიშნული ფუნქცია თავის თავზე და ისარგებლოს გამოძიებლის სტატუსით; კანონმდებლობა მას ანიჭებს შეუზღუდავ უფლებამოსილებას, გაეცნოს საქმის ცალკეულ მასალებს ან მთლიანად საქმეს; კონკრეტულ შემთხვევებში კი შეწყვიტოს გამოძიება.⁶⁹

საპროცესო კოდექსი, აგრეთვე, ადგენს პროკურორის სავალდებულო მონაწილეობას ცალკეულ საგამოძიებო ღონისძიებებსა და საპროცესო მოქმედებებთან დაკავშირებით. უფრო კონკრეტულად, მხოლოდ პროკურორია უფლებამოსილი, სასამართლოს მიმართოს ისეთ საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაზე ნებართვის მიღების მიზნით,

67 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი.

68 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 100.

69 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 33.

რომელიც ზღუდავს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს⁷⁰. ასეთი ღონისძიებების ჩამონათვალი კი საკმაოდ ფართოა და ის მოიცავს, მაგალითად, ჩხრეკას, ამოღებას, ფარულ საგამოძიებო ღონისძიებებს, მოწმის სავალდებულო წესით დაკითხვას და სხვა.

პროკურორისგან განსხვავებით, გამოძიებელს არ აქვს მსგავსი ტიპის საგამოძიებო ღონისძიებებზე დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. თუკი გავითვალისწინებთ, რამდენად მნიშვნელოვანია ჩამოთვლილი საგამოძიებო მოქმედებები საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნებისთვის, გამოდის, რომ გამოძიებელი მთლიანად დამოკიდებულია პროკურორზე, გამოძიების წარმართვისას.

რაც შეეხება პრაქტიკაში მტკიცებულებების მოპოვებას, აღნიშნული პროცესი სხვადასხვა საგამოძიებო უწყებაში განსხვავებულად მიმდინარეობს. როგორც წესი, მტკიცებულებათა მოპოვების დაგეგმვის პროცესი ხორციელდება პროკურორის უშუალო ჩართულობით და მითითებებით, ისევე, როგორც ძირითადი საგამოძიებო მოქმედებები. კერძოდ, გამოძიების პროცესს ხშირ შემთხვევაში სწორედ პროკურორი განსაზღვრავს, გამოძიებლის მოსაზრებების გათვალისწინებით. გამოძიებაში პროკურორის აქტიურ ჩართულობას ისიც განაპირობებს, რომ გამოძიებლები ხშირ შემთხვევაში ვერ იძებნიან სრული პასუხისმგებლობის აღებას თავიანთ თავზე, რაც შესაძლოა, განპირობებული იყოს მათი კვალიფიკაციის პრობლემით.⁷¹ ზოგიერთ საგამოძიებო ორგანოში კი (მაგალითად, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში) მტკიცებულებათა მოპოვების გეგმას ადგენს და მტკიცებულებებს უშუალოდ მოიპოვებს გამოძიებელი, პროკურორთან კომუნიკაციით.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ გამოძიებლები უფრო მეტი დამოუკიდებლობით მოქმედებენ მარტივი კატეგორიის საქმეებზე და ასეთ დროს შედარებით სუსტია პროკურორის ჩართულობაც. კვალიფიკაციის საკითხი განსაკუთრებით იკვეთება ზოგიერთი, სპეციფიკური დანაშაულის გამოძიებისას, როდესაც სამართლებრივი შემთხვევა არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივ, არამედ მომიჯნავე, დარგობრივ მახასიათებლებს შეიცავს. მაგალითად, თაღლითობის შემთხვევებში, როდესაც საქმე მოითხოვს თანაბარ კვალიფიკაციას როგორც სისხლის ასევე სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციაში. ამ საკითხის პრობლემურობას ისიც ამძაფრებს, რომ ქვეყანაში, როგორც წესი, არ არსებობს სპეციალიზებული საგამოძიებო ორგანოები, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებოდნენ კონკრეტული, ერთგვაროვანი საქმეების გამოძიებაზე.⁷²

70 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 112.

71 ინფორმაცია ეყრდნობა კვლევის ფარგლებში აკადემიური წრის წარმომადგენლებსა და პრაქტიკოსებთან ინტერვიუების შედეგებს.

72 ინფორმაცია ეყრდნობა კვლევის ფარგლებში აკადემიური წრის წარმომადგენლებსა და პრაქტიკოსებთან ინტერვიუების შედეგებს.

როგორც კვლევაში განვითარებული მსჯელობა ცხადყოფს, პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობის ფარგლები მეტად ფართოა და ფაქტობრივად მოიცავს გამოძიების ყველა მნიშვნელოვან გარემოებას. ასეთ პირობებში კი ჩნდება კითხვები პროკურორის სტატუსთან დაკავშირებით – უნდა წარმართავდეს თუ არა ის გამოძიებას უშუალოდ, თუ იყოს მისი გარე მაკონტროლებელი როგორც ეფექტიანობის, ისე კანონიერების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ სამართალწარმოების კლასიკურ შეჭიბრებით მოდელში პროკურორი მეტად შებლდული საგამოძიებო უფლებამოსილებით სარგებლობს. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა⁷³ პროკურორს მხოლოდ გამონაკლისის სახით ანიჭებს უფლებამოსილებას, მიიღოს გადაწყვეტილება, მაგალითად, ელექტრონული ზედამხედველობის, ფარული საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე⁷⁴. საერთო სამართლის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია, რომ პროკურორი მაქსიმალურად დისტანცირდება საგამოძიებო სტადიიდან. საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებით, ინგლისისა და უელსის, ისევე როგორც აშშ-ის კანონმდებლობით, პროკურორი არ არის უფლებამოსილი, საგამოძიებო ორგანოს მიუთითოს რომელიმე მოქმედების განხორციელებაზე ან უშუალოდ აწარმოოს გამოძიება. პროკურორი არ მონაწილეობს არც საგამოძიებო სტრატეგიის განსაზღვრაში. ამ სისტემაში პროკურორს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში, საგამოძიებო ორგანოს მიმართვის საფუძველზე აქვს სამართლებრივი კონსულტაციის უფლებამოსილება. ამასთან, კონსულტაციის შედეგებს სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და, შესაბამისად, საგამოძიებო ორგანოსთვის შესასრულებლად სავალდებულო არ არის⁷⁵.

ამ ქვეყნებში გამოძიების დაწყების დისკრეცია დამოუკიდებლად აქვს პოლიციას, რომელიც არ მიიჩნევა ბრალდების მხარედ და აქვს გამოძიების სრულად წარმართვის უფლებამოსილება. შესაბამისად, პასუხისმგებლობა ნებისმიერი საქმის გამოძიებაზე გადანაწილებულია არა გამოძიებელსა და პროკურორს შორის, არამედ უშუალოდ საგამოძიებო ორგანოს შიგნით – საქმის უშუალო გამოძიებელსა და მასზე შედარებით მაღალი სტატუსის მქონე გამომძიებელს შორის⁷⁶. საგამოძიებო ორგანო პროკურატურისგან დამოუკიდებლად არის უფლებამოსილი დაზარალებულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და მტკიცებულებათა მოპოვების პროცესზე⁷⁷.

73 საგამოძიებო ეტაპზე, კონკრეტულ შემთხვევებში, პროკურორის ჩართულობას ფედერალურ დონეზე იცნობს აშშ-ის კანონმდებლობა.

74 AMERICAN BAR ASSOCIATION (2013). ABA Standards for Criminal Justice (Third Edition). Prosecutorial Investigations. Washington, American Bar Association., p.1

75 JACKSON, R. H. (1940). The Federal Prosecutor. 3(5) Journal of Criminal Law and Criminology, pp.3-6., p.3

76 Criminal Procedure and Investigations Act 1996 (section 23(1)) Code of Practice, s.3(i).

77 Harris, D. (2012). The Interaction and Relationship Between Prosecutors and Police Officers in the United States, and how this Affects Police Reform Efforts. Luna, E., Wade, M. and Bojańczyk, A. The Prosecutor in Transnational Perspective. New York, Oxford University Press: 54-66, pp.57.

3.3. ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიების წარმართვის პროცესუალური გარანტიები

საპროცესო კოდექსის ჩანაწერები ასევე წინააღმდეგობრივია გამოძიებლის უფლებამოსილებისა და სტატუსის განსაზღვრისას გამოძიების პროცესში. ერთი მხრივ, გამოძიებელს კონკრეტული მხარის (ბრალდების) სტატუსი აქვს მინიჭებული, მეორე მხრივ კი, ვალდებულია, აწარმოოს გამოძიება ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად.⁷⁸ აღნიშნულ ვალდებულებას გამომძიებელი ერთგვარად გაჰყავს ბრალდების მხარის პოზიციიდან. იგი არ მოქმედებს მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოგვიანებით ეფექტიანად წარიმართოს კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, არამედ ყოველმხრივ და სრულყოფილად უნდა სწავლობდეს საქმის ყველა მნიშვნელოვან გარემოებას, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება ორივე მხარისთვის სასარგებლო მტკიცებულებების მიღება.

ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიებისთვის მნიშვნელოვანია, საპროცესო კოდექსით უზრუნველყოფილი იყოს გამომძიებლის ოპერაციული დამოუკიდებლობა, რაც უპირველეს ყოვლისა გამომძიებლის სტატუსის განსაზღვრაში უნდა გამოვლინდეს. როგორც აღინიშნა, ძველი საპროცესო კოდექსისგან განსხვავებით, მოქმედი კოდექსი გამომძიებელს ბრალდების მხარედ მიიჩნევს,⁷⁹ რომელსაც საგამოძიებო საქმიანობის ფარგლებში საპროცესო ზედამხედველობას, ხელმძღვანელობას უწევს შესაბამისი პროკურორი.

საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წინააღმდეგობრივი ჩანაწერები გამომძიებლის სტატუსსა და როლთან დაკავშირებით, ამავდროულად, გამოძიების პროცესში პროკურორის აქტიური, ხელმძღვანელობითი როლი, ცხადყოფს, რომ გამოძიების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური წარმართვის ვალდებულების პრაქტიკაში შესრულება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. როგორც უკვე აღინიშნა, კოდექსის მოქმედი რედაქცია ვერ უზრუნველყოფს გამომძიებლის ფუნქციურ დამოუკიდებლობას პროკურორისგან, რაც საბოლოო ჯამში აისახება კიდევ გამოძიების ობიექტურობის ხარისხზე.

გამომძიებლის სტატუსისა და ფუნქციების პარალელურად პრობლემურია საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელის სტატუსი გამოძიების პროცესში. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი საპროცესო კოდექსი საერთოდ არ მიიჩნევს ამ უკანასკნელს პროცესის სუბიექტად, თუმცა პრაქტიკაში სამსახურის ხელმძღვანელები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გამოძიების პროცესში.

78 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

79 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 3, ნაწილი 6.

პროექტის ფარგლებში პროკურორებსა და გამომძიებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ სხვადასხვა საგამოძიებო უწყებაში განსხვავებულია საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელის ჩართულობა უშუალოდ გამოძიების პროცესში. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ორგანოების ხელმძღვანელი – პოლიციის უფროსი ან მოადგილე, ძირითადად, მონაწილეობს ადმინისტრაციული საკითხების მოგვარებაში, როგორცაა გამომძიებლის გადაადგილების უზრუნველყოფა ან სხვა ტექნიკური ხასიათის საკითხები, თუმცა არის საქმეები, სადაც ხელმძღვანელი შინაარსობრივ ნაწილშიც ერევა, მაგალითად, მონაწილეობს გამოძიების სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრაში, ზოგიერთ შემთხვევაში კი – თავად საგამოძიებო მოქმედებებში.

საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელის შინაარსობრივ მონაწილეობას გამოძიების პროცესში არ აქვს პერმანენტული ხასიათი, თუმცა მისი ჩართულობის ხარისხი დამოკიდებულია გამოსაძიებელი დანაშაულის კატეგორიასა და მის მნიშვნელობაზე. მაგალითად, მკვლელობის საქმეებში ხელმძღვანელები უფრო აქტიურად არიან ჩართულნი, ვიდრე სხვა შემთხვევებში. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში ასევე არსებობს სამსახურის ხელმძღვანელთან პერიოდული ანგარიშგების მექანიზმი, რასაც შემდგომში შეიძლება მოჰყვეს მენეჯერის მხრიდან დამატებითი მითითებების გაცემა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების თაობაზე თუ სხვა საკითხზე⁸⁰.

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელი პრაქტიკაში მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს და აქტიურად მონაწილეობს უშუალოდ საქმის გამოძიების პროცესში. კანონმდებლობით აღნიშნული საკითხის მინიმალურ დონეზე მოუწესრიგებლობაც კი ზრდის არაერთგვაროვანი პრაქტიკის განვითარების რისკს და ამასთანავე, საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელის მიერ თვითნებური გადაწყვეტილების მიღების საფრთხეს.

კლასიკური შეჯიბრებითი სისტემის მქონე ქვეყნებისთვის, სადაც საგამოძიებო ორგანოები ფუნქციურად და ინსტიტუციურად მკაცრად არიან დისტანცირებულები⁸¹, გამომძიებელი მაქსიმალური დამოუკიდებლობით სარგებლობს გამოძიების ეტაპზე. შეჯიბრებით მოდელში გამომძიებლისთვის ბრალდების მხარის სტატუსის მინიჭება უცხოა. ამიტომაც, საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებით, ლოგიკურია, რომ ამ ქვეყნებში გამომძიებელს თანაბრად აქვს როგორც გამამტყუნებელი, ასევე გამამართლებელი მტკიცებულებების მოპოვების ვალდებულება⁸². ამდენად, მიზანშეწონილია, რომ სრულყოფილი, ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიების უზრუნველსაყოფად, გამომძიებელს ჰქონდეს როგორც გამამართლებელი ასევე გამამტყუნებელი მტკიცებულებების მოპოვების ვალდებულება.

80 მსჯელობა ეყრდნობა კვლევის ფარგლებში აკადემიური წრის წარმომადგენლებსა და პრაქტიკოსებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგებს.

81 European Journal on Criminal Policy and Research, pp.203-224, pp.204-207.

82 Criminal Procedure and Investigations Act 1996 (section 23(1)) Code of Practice, paragraph 3(5)

3.4. მტკიცებულებების გაცვლა მხარეებისთვის

ობიექტური გამოძიების პარალელურად შეჭიბრებითი პროცესისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარეთა შორის მტკიცებულებათა გაცვლისა და ხელმისაწვდომობის საკითხი. საპროცესო კოდექსით, მხარეები ვალდებული არიან, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე დააკმაყოფილონ მეორე მხარის მოთხოვნა იმ ინფორმაციის გაცნობის, შესახებ რომლის წარდგენასაც სასამართლოში აპირებენ.⁸³ საპროცესო კოდექსი ბრალდების მხარეს ასევე ავალდებულებს, დაცვის მხარეს მიაწოდოს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებებიც.

ამ შემთხვევაში პრობლემატურია ის, რომ კანონმდებლობით, მტკიცებულებათა გაცვლის პროცესუალური ვალდებულების დარღვევისთვის ეფექტიანი სამართლებრივი ზემოქმედების მექანიზმები არ არსებობს. ინფორმაციის (მათ შორის, გამამართლებლის) ბრალდებულისთვის გაუზიარებლობის ერთადერთი სამართლებრივი შედეგი არის ის, რომ პროკურორი მას ვეღარ წარადგენს სასამართლოში მტკიცებულებად.⁸⁴

აღნიშნული საკითხის პრობლემატურობა გაზიარებულია პრაქტიკაშიც, რაც კვლევის პროცესში ინდივიდუალური ინტერვიუებითაც გამოიკვეთა. უმეტესწილად, მტკიცებულებათა გაცვლის საპროცესო სამართლებრივი გარანტიები პრაქტიკაში განსხვავებულად არის შეფასებული. ერთ-ერთი მიდგომით, ბრალდების მხარეს არ აქვს ვალდებულება, მოიპოვოს გამამართლებელი მტკიცებულება, მაგრამ თუ მაინც მოიპოვა ასეთი მტკიცებულება, მაშინ უპირობოდ წარმოიშობა დაცვის მხარისთვის გადაცემის ვალდებულება. პრობლემატურად არის შეფასებული ასევე პროკურორის უფლებამოსილება, სასამართლოში არ წარადგინოს გამამართლებელი მტკიცებულებები⁸⁵.

საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებით, შეჭიბრებითი სისტემის სხვა ქვეყნებში მტკიცებულებათა მოპოვების, გაცვლისა და თანამდევნი პასუხისმგებლობის ზომები მკაცრად არის განსაზღვრული. მაგალითად, ინგლისისა და უელსის კანონმდებლობით, გამომძიებელს, როგორც დამოუკიდებელ სუბიექტს პროცესში, აქვს როგორც გამამტყუნებელი, ასევე გამამართლებელი მტკიცებულებების მოპოვების ვალდებულება, ხოლო მტკიცებულებათა გაცვლა, როგორც წესი, დევნის ორგანოს პრეროგატივაა⁸⁶ და ამ პროცესში გამომძიებელი არ მონაწილეობს. მაგალითად, აშშ-ის ფედერალური კანონმდებლობით, პროკურორი ვალდებულია, უზრუნველყოს მხარის ხელმისაწვდომობა მის ხელთ არსებულ მტკიცებულებებზე დროულად, პროცესის მაქსიმალურად სანყის ეტაპზე.

83 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 83.

84 იქვე: ნაწილი 3.

85 ინფორმაცია ვერდნობა კვლევის ფარგლებში აკადემიური წრის წარმომადგენლებსა და პრაქტიკოსებთან ინტერვიუების შედეგებს.

86 Criminal Procedure and Investigations Act 1996 (section 23(1)) Code of Practice, paragraph 3(5).

აშშ-ში, როგორც ფედერალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე, პროკურატურა ვალდებულია, უზრუნველყოს დაცვის მხარის ხელმისაწვდომობა მის ხელთ არსებულ სულ მცირე გამამართლებელ მტკიცებულებებზე. ამასთან, გამამართლებელი მტკიცებულება, აშშ-ის პრაქტიკით, ფართოდ განიშარტება. მასში იგულისხმება არა მხოლოდ ბრალის გამომრიცხავი მტკიცებულებები, არამედ მტკიცებულებები, რომლებმაც შესაძლოა, ხელი შეუწყოს მოსალოდნელი სასჯელის შემსუბუქებას. იქიდან გამომდინარე, რომ მტკიცებულებების შინაარსი და მისთვის გამამართლებელი შინაარსის მინიჭება შეფასებითია, ზოგიერთი შტატის კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს „ღია საქალაქის“ პრინციპს და ამით ხელმისაწვდომს ხდის ნებისმიერ მტკიცებულებას დაცვის მხარისთვის⁸⁷.

საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებით, შეჯიბრებითი მოდელის ქვეყნებში მტკიცებულებათა გაცვლის ვალდებულებების პარალელურად მტკიცებულებათა გაცვლის წესის დარღვევისთვის საკმაოდ მკაცრი ზომებია დადგენილი. მაგალითად, ინგლისისა და უელსის საპროცესო კანონმდებლობით, მსგავს შემთხვევებში სასამართლომ შესაძლოა, პროკურატურას დევნის შეწყვეტა დაავალოს ან საქმეზე გამამართლებელი გადაწყვეტილება გამოიტანოს⁸⁸.

3.5. გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის ფარგლები და მისი მიზნები

საპროცესო კოდექსის თანახმად, პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის ექსკლუზიური უფლებამოსილებით აღჭურვილი სუბიექტია და აღნიშნული ფუნქციის ეფექტიანად გამოყენების მიზნით, ის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელია. სისხლისსამართლებრივი დევნის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ეფექტიანი გამოძიება, შესაბამისად, ლოგიკურია, პროკურორის გამოძიებაზე ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მიზანი უკავშირდებოდეს არა გამოძიების ობიექტურად და სრულყოფილად წარმართვას, არამედ სისხლისსამართლებრივი დევნის უკეთ განხორციელებას.

უდავოა, რომ პროკურორი მისთვის დაკისრებული ვალდებულების გათვალისწინებით, გამოძიების პროცესში ნეიტრალური ფიგურა ვერ იქნება და მისი ძირითადი პრიორიტეტი ბრალდების მხარის სასარგებლო მტკიცებულებების მოპოვება იქნება. გამომდინარე იქიდან, რომ პროკურორი არის მხარე სისხლის სამართლის პროცესში,⁸⁹ მის მიერ საქმის გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობას უნდა ჰქონდეს შეზღუდული მასშტაბ-

87 Siegel, D. M. (2014). An Introduction to Exculpatory Evidence Under US Law for the Uzbek Prosecutor. Boston Research Paper No. 15-06, p.7

88 The Police and Criminal Evidence Act 1984, Code C, para. 11.1A. See <https://www.gov.uk/guidance/police-and-criminal-evidence-act1984-pace-codes-of-practice>, accessed 14th February 2018.

89 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილი.

ბი და, ზოგადად, პროკურორის ჩართულობა გამოძიების პროცესში მინიმუმამდე უნდა იყოს შემცირებული. როგორც აღინიშნა, დღევანდელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საპირისპირო ვითარებაზე მიუთითებს და პროკურორის საგამოძიებო პროცესში ჩართულობა ფაქტობრივად შეუზღუდავია.

უფრო კონკრეტულად კი, გამოძიების მიმდინარეობისას პროკურორის საზედამხედველო როლი სხვადასხვა სახით ვლინდება. ამ კონტექსტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია პროკურორისთვის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელისთვის, გამოძიებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობაა. პროკურორია ასევე უფლებამოსილი, გამოძიების ეტაპზე გამოძიებლის მოქმედების ან გადაწყვეტილების თაობაზე განიხილოს საჩივარი, გარკვეული პერიოდულობით მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმის მასალები.⁹⁰

გარდა ზემოაღნიშნული პროცესუალური ინტერვენციებისა საგამოძიებო საქმიანობაში, საპროცესო კოდექსი პროკურორს აძლევს შესაძლებლობას, საგამოძიებო ქვემდებარეობის დაცვით, ჩამოაშოროს საგამოძიებო პროცესს კონკრეტული გამოძიებელი და საქმე გადასცეს სხვას.⁹¹

ერთადერთი პროცესუალური ბერკეტი, რითაც გამოძიებელი სარგებლობს პროკურორთან ურთიერთობისას, ამ უკანასკნელის მითითების შესრულებაზე უარის თქმის უფლებაა, რა დროსაც, გამომძიებელი საქმეს და თავის მოსაზრებებს წერილობით წარუდგენს ზემდგომ პროკურორს. ზემდგომი პროკურორი ასეთ შემთხვევებში აუქმებს ქვემდგომის მითითებას ან მის შესრულებას ავალებს სხვა გამომძიებელს.⁹² აღნიშნული მექანიზმი ვერ მიიჩნევა გამომძიებლისა და, ზოგადად, გამოძიების ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის გარანტიად, რადგან ის ითვალისწინებს მხოლოდ ნეგატიური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას – პირის გამოძიებიდან ჩამოშორებას ან მითითების გაუქმებას.⁹³ ამავდროულად, მოქმედი პროკურორებისა და გამომძიებლების ინტერვიუებიდან გამოვლინდა, რომ ეს უკანასკნელნი, ფაქტობრივად, არასდროს მიმართავენ აღნიშნულ სამართლებრივ ბერკეტს და პროკურორსა და გამომძიებელს შორის არსებული უთანხმოება ყოველთვის გვარდება მათივე შიდა კომუნიკაციით.

საპროცესო ზედამხედველობის მეორე უმნიშვნელოვანესი ელემენტია გამომძიებლის ქმედების კანონიერების კონტროლი. კანონმდებლობის თანახმად,⁹⁴ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით გამომძიებლის მოქმედებები საჩივრდება

90 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 33.

91 იქვე, ნაწილი 6, პუნქტი „ა“.

92 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

93 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „უხილავი ძალაუფლების პოლიტიკა“, 2015 წ, გვ. 54.

94 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი.

ზედამხედველ პროკურორთან, თუმცა აღნიშნული გასაჩივრების მექანიზმი, ფაქტობრივად, აზრს კარგავს პრაქტიკაში, რადგან, როგორც ზევით აღინიშნა, სწორედ პროკურორი იღებს გამოძიების ყველა მნიშვნელოვან გარემოებაზე გადაწყვეტილებას. ამავდროულად, ინტერვიუებიდან გამოვლინდა, რომ, როგორც წესი, გამოძიებლები თითქმის ყველა შემთხვევაში გადიან წინასწარ კონსულტაციებს გამოძიების სტრატეგიასა თუ კონკრეტულ მნიშვნელოვან ღონისძიებამდე. შესაბამისად, იკვეთება ვითარება, როდესაც პროკურორთან საჩივრდება ის გადაწყვეტილებები/მოქმედებები, რომელთა მინიმუმ დაგეგმვაში აქტიურად მონაწილეობდა თავად ეს პროკურორი.

ნათელია, რომ გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობის აბსოლუტური ფარგლები და გამოძიებლის მძლავრი ოპერაციული სუბორდინაცია პროკურორის მიმართ, მთლიანად არღვევს ბალანსს საგამოძიებო სისტემაში. შესაბამისად, იქმნება ვითარება, როდესაც საქმის გამოძიებელს, ფაქტობრივად, არ რჩება გამოძიების ყოველმხრივ წარმართვის პასუხისმგებლობა და შესაძლებლობა. ამავდროულად, პროკურორი არათუ ნეიტრალური მაკონტროლებელია გამოძიებლისა და საგამოძიებო პროცესის, არამედ ის უშუალოდ წარმართავს გამოძიებას და იღებს მასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე გადაწყვეტილებას. ასეთ პირობებში კი ბუნდოვანია, თუ როგორი უნდა იყოს პროკურორის როლი გამოძიების პროცესში, რა უნდა იყოს მისი უმთავრესი პრიორიტეტი – ეფექტიანი და ობიექტური გამოძიება, რომლის ფარგლებშიც მაქსიმალურად იქნება დაცული თითოეული მოქალაქის უფლებები, თუ საქმის მომზადება სისხლისსამართლებრივი დევნისთვის და მასზე დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენი.

როგორც ეს წინა პარაგრაფშიც აღინიშნა, პროკურორის აქტიური როლი შეჭიბრებითი სისტემის სისხლის სამართლის პროცესისთვის დამახასიათებელი არ არის. პროკურატურისა და საგამოძიებო სისტემების ინსტიტუციური თუ ფუნქციური გამიჯვნა უზრუნველყოფს გამოძიების მაქსიმალურ დამოუკიდებლობას პროკურორისგან. გამოძიებლის ფუნქციური დამოუკიდებლობის ბერკეტი ისიცაა, რომ განხილულ სისტემებში გამოძიებელი ბრალდების მხარე არ არის⁹⁵. შეჭიბრებითი მოდელის ქვეყნებში პროკურორს არ გააჩნია გამოძიების უშუალოდ ხელმძღვანელობისა და მასში აქტიურად მონაწილეობის უფლებამოსილება.⁹⁶

95 Criminal Procedure and Investigations Act 1996 (section 23(1)) Code of Practice, paragraph 3(5).

96 European Journal on Criminal Policy and Research, pp.203-224, pp.204-207

რეკომენდაციები

განხილული საკითხების საკანონმდებლო, პრაქტიკულმა და თეორიულმა ანალიზმა გამოკვეთა ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც დღეს სისხლის საპროცესო სამართლის სხვადასხვა სტადიაზე დგას. როგორც კვლევამ ცხადყო, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მხარეთა თანაბარი საგამოძიებო უფლებამოსილებისა და ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიების საკითხები, მხარეთა შორის მტკიცებულებათა გაცვლის არსებული საკანონმდებლო წესრიგი. შეჭიბრებითი მოდელის ფარგლებში პროკურატურისა და საგამოძიებო ორგანოების ინსტიტუციური და ფუნქციური დამოუკიდებლობის საკითხები, ისევე, როგორც პროკურორის ფართო საგამოძიებო უფლებამოსილება და მისი გავლენის რისკი გამოძიების ობიექტურობაზე.

განხილული პრობლემების აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია:

- პროკურატურას ჩამოერთვას სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების კომპეტენცია და აღნიშნული უფლებამოსილება თემატურად გადანაწილდეს სხვა საგამოძიებო უწყებებზე;
- გაუქმდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული პროკურორის უფლებამოსილება, სისხლის სამართლის საქმეს ჩამოაშოროს ერთი გამოძიებელი და ის გამოსაძიებლად გადასცეს სხვა გამოძიებელს;
- პროკურორი არ უნდა იყოს უფლებამოსილი, უშუალოდ ჩაერთოს გამოძიების პროცესში და მთლიანად წარმართოს გამოძიება, რა დროსაც ის იძენს გამოძიებლის სტატუსს;
- გამოძიებისა და პროკურატურის ოპერაციულ დონეზე მეტად დისტანცირების მიზნით, შეეზღუდოს პროკურორს გამოძიების ფარგლებში გამოძიებლისთვის შესასრულებლად სავალდებულო მითითების მიცემის შესაძლებლობა;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში უნდა დაკონკრეტდეს, რომ გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობა ხორციელდება გამოძიების კანონიერების უზრუნველსაყოფად და საპროცესო ზედამხედველობის ფარგლებში, პროკურორი არ განსაზღვრავს გამოძიების მიმართულებას;
- პროკურორს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს გამოძიებლის ქმედების/გადაწყვეტილების შეცვლის ან გაუქმების უფლებამოსილება, თუკი ის აშკარად კანონსაწინააღმდეგოა. მართლზომიერების ან ეფექტიანობის მოტივით პროკურორი ვერ უნდა ერეოდეს გამოძიებლის საქმიანობაში;

- გამომძიებლის მიერ საქმის სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლევის მიზნით, აუცილებელია, ახლებურად განისაზღვროს მისი სტატუსი საპროცესო კოდექსში. გამომძიებელი არ უნდა მიიჩნეოდეს ბრალდების მხარედ და იგი გამიჯნული უნდა იყოს პროკურატურისგან როგორც ინსტიტუციურად, ასევე ფუნქციურად;
- გამომძიებლის პროკურორზე დამოკიდებულების ინტენსივობის შესამცირებლად, მნიშვნელოვანია, რომ მათ შორის კომუნიკაციას სავალდებულო წერილობითი ფორმა ჰქონდეს. ამავდროულად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც გამომძიებელი გონივრულად მიიჩნევს ისეთ საგამოძიებო ღონისძიების ჩატარებას, რომელსაც სჭირდება სასამართლოს ნებართვა, თუმცა აღნიშნულზე პროკურორი არ თანხმდება. პროკურორის უარი სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვაზე უნდა იყოს წერილობით დასაბუთებული და აღნიშნული დოკუმენტი უნდა შევიდეს საქმის მასალებში (გასათვალისწინებელია, რომ შეჭიბრებითი სისხლის სამართლის სისტემებში, გამომძიებელს შეუძლია პირდაპირ მიმართოს სასამართლოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საკითხზე, რისთვისაც არ სჭირდება პროკურორის მონაწილეობა);
- საპროცესო კოდექსით განისაზღვროს საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელის პროცესუალური სტატუსი. ეს უკანასკნელი უნდა უზრუნველყოფდეს დაქვემდებარებული უწყების მიერ წარმოებული გამოძიების ეფექტიანობას, კვალიფიციურობასა და მაღალ ხარისხს. სამსახურის ხელმძღვანელი უფლებამოსილი უნდა იყოს, მისცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითებები გამომძიებლებს, დაავალოს საქმის გამოძიება კონკრეტულ გამომძიებელს, განიხილოს მათ ქმედებასთან დაკავშირებული საჩივრები და სხვა;
- მხარეთა მიერ მტკიცებულებათა გაცვლის პროცესში გამკაცრდეს სამართლებრივი შედეგი ისეთ შემთხვევებზე, როდესაც გამომძიებელმა/პროკურორმა არ უზრუნველყო ბრალდებულისთვის ისეთი მტკიცებულების გაცვლა, რომელიც გამორიცხავს ან ამსუბუქებს პირის ბრალეულობას. ასეთი შემთხვევები უნდა იყოს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი.

კვლევის შეჯამება

კვლევის ფარგლებში, საგამოძიებო სისტემის საკანონმდებლო და პრაქტიკულმა ანალიზმა გამოკვეთა ის ძირეული პრობლემები, რაც ქვეყანაში გამოძიების ინსტიტუციური, ორგანიზაციული და ფუნქციური დამოუკიდებლობის მიმართულებით არსებობს. ეს პრობლემები დიდწილად განაპირობებს ობიექტური, ყოველმხრივი და ხარისხიანი გამოძიების წარმართვის კუთხით არსებულ ვითარებას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სისტემური რეფორმირების ძირითადი მიზანი ბრალდებულის უფლებრივი მდგომარეობის ამაღლების მიზნით, დამოუკიდებელი და ობიექტური გამოძიების გარანტიების შექმნა იყო. თუმცა, კანონმდებლობის არასრულფასოვანმა გადასინჯვამ და თანმდევი ინსტიტუციური რეფორმების განუხორციელებლობამ, დასახული მიზნის მიღწევას ხელი შეუშალა. კვლევამ აჩვენა, რომ არსებული საკანონმდებლო წესრიგი არ ქმნის საკმარის გარანტიებს საგამოძიებო სისტემის დამოუკიდებლობისთვის, რაც ხელს უშლის გამოძიების ყოველმხრივ და ობიექტურად წარმართვას.

მოქმედი კანონმდებლობით, გამოძიებელი ბრალდების მხარის სტატუსს ატარებს და დიდწილად შეზღუდულია საქმის პროკურორის გადაწყვეტილებებით. პროკურორი უშუალო საგამოძიებო უფლებამოსილებით სარგებლობს, ამასთან მას გამოძიებლისთვის სავალდებულოდ შესასრულებელი მითითების მიცემის უფლება აქვს, რაც აძლიერებს ბრალდების მხარის გავლენას გამოძიების მიმდინარეობის პროცესზე. ამასთან, პროკურორის აქტიური ჩართულობა საქმის გამოძიებაში, ხელს უშლის მისი მხრიდან ამავე გამოძიების კანონიერების სათანადო ზედამხედველობას.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ გამოძიების ობიექტურობის და დამოუკიდებლობის მიღწევის მიზნით, მნიშვნელოვანია, გადაიხედოს გამოძიებლის საპროცესო სტატუსი. გამოძიებელი არ უნდა მოიაზრებოდეს ბრალდების მხარედ, ხოლო პროკურორი არ უნდა სარგებლობდეს საგამოძიებო უფლებამოსილებით. საგამოძიებო და საპროკურორო საქმიანობის ნათელი გამიჯვნის მიზნით, მნიშვნელოვანია პროკურატურას არ გააჩნდეს საგამოძიებო კომპეტენცია, საგამოძიებო ქვემდებარეობა კი იუსტიციის მინისტრის ბრძანების ნაცვლად, უნდა მოწესრიგდეს კანონით.

საპროცესო ზედამხედველობის მიზანი უნდა იყოს გამოძიების კანონიერების კონტროლი, რაც არ უნდა გაიგივდეს გამოძიების სტრატეგიის და ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან. გამოძიების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კვლევამ გამოკვეთა საპროცესო კოდექსით საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელის პროცესუალური სტატუსის განისაზღვრის საჭიროება. საქმის პროკურორის ნაცვლად, სწორედ საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელი, საქმის

გამომძიებლებთან ერთად, უნდა უზრუნველყოფდეს დაქვემდებარებული უწყების მიერ წარმოებული გამოძიების ეფექტიანობას და კვალიფიციურობას.

გამოძიების ხარისხის ამაღლებისთვის, შესაბამისი ყურადღება უნდა დაეთმოს გამოძიებლის კვალიფიკაციის საკითხს. როგორც კვლევამ აჩვენა, არ არსებობს ერთიანი საკვალიფიკაციო მოთხოვნები გამოძიებლებისთვის, მათ შორის, მთავარი და ყველაზე დიდი საგამოძიებო ორგანოს - შინაგან საქმეთა სამინისტროს - გამოძიებელს არ მოეთხოვება უმაღლესი იურიდიული განათლება. მნიშვნელოვანია, რომ ყველა საგამოძიებო ორგანოს გამოძიებლებისთვის განისაზღვროს ერთგვაროვანი და შესაბამისი მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

კვლევაში საგამოძიებო სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად, ე.წ. “წინასაგამოძიებო” მექანიზმების არსებობა გამოიკვეთა, რასაც წინააღმდეგობრივი საკანონმდებლო ჩარჩო განაპირობებს. კვლევამ აჩვენა, რომ ოპერატიული და საგამოძიებო საქმიანობა ერთმანეთისგან გამიჯნული არ არის. არაერთი საგამოძიებო დანაყოფი, იმავდროულად ოპერატიული მუშაობით არის დაკავებული. საკანონმდებლო და პრაქტიკული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, მნიშვნელოვანია, პრაქტიკაში დაინერგოს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამოძიების მყისიერი დაწყების ვალდებულება. იმავდროულად, აუცილებელია საკანონმდებლო სისტემის შესაბამისობაში მოყვანა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან, რათა აღმოიფხვრას გამოძიების პარალელური მექანიზმები და პრაქტიკაში ხელოვნურად დამკვიდრებული „წინასაგამოძიებო ეტაპი“, რომელიც საპროკურორო და სასამართლოს კონტროლის გარეშე მიმდინარეობს. ამ მიმართულებით, კვლევის ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია “ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” კანონის გაუქმებაა.

კვლევამ ასევე გამოკვეთა, რომ ახლებურ მონესრიგებას საჭიროებს მხარეთა მიერ მტკიცებულებათა გაცვლის პროცესი. მნიშვნელოვანია, გამკაცრდეს სამართლებრივი შედეგი ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ბრალდების მხარე არ უზრუნველყოფს ბრალდებისთვის ბრალის გამოძიების ან/და შემამსუბუქებელი მტკიცებულების გაცვლას. ასეთი შემთხვევები უნდა იყოს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, ან სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი.

კვლევის შედეგების გათვალისწინებით, დამოუკიდებელი, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია სისტემური რეფორმის როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე საგამოძიებო ორგანოებისა და პროკურატურის სისტემის ორგანიზებაში. საგამოძიებო სისტემის რეფორმამ ნათლად უნდა გამიჯნოს გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ფარგლები, გაზარდოს გამოძიებლის როლი და მნიშვნელობა გამოძიების პროცესში და გააძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობის ხარისხი, პროკურორის გამოძიებისგან დისტანცირების გზით.

დანართი

გამომძიებლის და პროკურორის უფლებამოსილებები გამოძიების ფარგლებში (მოქმედი კანონმდებლობით)	
გამომძიებელი	პროკურორი
გამომძიების დაწყება/დანაშაულისთვის კვალიფიკაციის მინიჭება	
<ul style="list-style-type: none"> გამომძიებელი უფლებამოსილია, დაიწყოს დანაშაულის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით (მუხლები: 37, 100); გამომძიებელი ვალდებულია გამოძიების დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს პროკურორს (მუხლი 100). 	<ul style="list-style-type: none"> დანაშაულის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე პროკურორი ვალდებულია დაიწყოს გამოძიება (მუხლი 100); უფლებამოსილია შეცვალოს გამოძიების მიერ დაწყებული გამოძიების კვალიფიკაცია, ან შეწყვიტოს მის მიერ დაწყებული გამოძიება. (მუხლი 33, ნაწილი 6, პუნქტი „ზ“).
საგამოძიებო ქვემდებარეობა	
<p>– გამოძიებელი იწყებს გამოძიებას იმ დანაშაულზე, რომელიც მის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიეკუთვნება. (იუსტიციის მინისტრის ბრძანება N34).</p>	<ul style="list-style-type: none"> საქართველოს მთავარ პროკურორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად გამოძიება დაავალოს რომელიმე საგამოძიებო ორგანოს. (მუხლი 33, ნაწილი 6, პუნქტი „ა“); საქმის პროკურორს უფლება აქვს, საქმე ჩამოართვას ერთ გამოძიებელს და გადასცეს მეორეს. (მუხლი 33, ნაწილი 6, პუნქტი „ა“); გამომძიების დაწყების შემდეგ, სხვა საგამოძიებო ორგანოს კომპეტენციის გამოკვეთის შემთხვევაში, საქმეს ქვემდებარეობის მიხედვით აგზავნის პროკურორი. (მუხლი 102);

გამომძიებლის და პროკურორის უფლებები და ვალდებულებები გამოძიების პროცესში	
<ul style="list-style-type: none"> • გამომძიებელს აქვს გამოძიების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად წარმოების ვალდებულება. (მუხლი 37, ნაწილი 2); • გამომძიებელი ვალდებულია შეასრულოს პროკურორის მითითება (მუხლი 37, ნაწილი 3). <p>გამომძიებელს უფლება აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროკურორის მითითებებთან დაკავშირებით წარუდგინოს საქმე და პირადი მოსაზრებები გემდგომ პროკურორს; • თავისი ინიციატივით ჩაატაროს მხოლოდ ის საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც არ ზღუდავს კერძო საკუთრებას, ან პირადი ცხოვრების უფლებას; გამომძიებელს უფლება არ აქვს, საკუთარი ინიციატივით ჩაატაროს ჩხრევა, ამოღება (გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა), განახორციელოს კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული და ფარული საგამოძიებო ღონისძიებები, დაკითხოს მონაწილე (გარდა ძველი საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული კონკრეტული შემთხვევებისა); • მოითხოვოს, რევიზიის ჩატარება, დოკუმენტის წარდგენა...; • მოიწვიოს თარჯიმანი, ექსპერტი, ამოსაცნობი პირი; • გასცემს მითითებას დაკავებულთა შესაბამის ადგილზე მიყვანის მიზნით; • მისი გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში მასალები გადაუგზავნოს პროკურორს/სასამართლოს; • მიმართავს პროკურორს სხვა გამომძიებლისთვის საგამოძიებო დავალების მიცემისთვის. (მუხლი 37). 	<ul style="list-style-type: none"> • პროკურორი უფლებამოსილია, განახორციელოს ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედება, მიმართოს სასამართლოს კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე შუამდგომლობით, მისცეს სავალდებულო მითითება გამომძიებელს, კონკრეტული მოქმედების განხორციელების, ან მისი განხორციელებისგან თავის შეკავების თაობაზე (მუხლი 33); • მოითხოვოს საქმის ცალკეული მასალები ან საქმე სრულად; • გააუქმოს გამომძიებლის დადგენილება; • გადაწყვიტოს საჩივარი გამომძიებლის ქმედების შესახებ, სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში მისცეს ახსნა-განმარტება.

პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვა	
<ul style="list-style-type: none"> • გამომცემელი უფლებამოსილი არ არის, დანაშაულის მსხვერპლს მიანიჭოს დაზარალებულის სტატუსი; (მუხლი 56, ნაწილი 5); • გამომცემელი უფლებამოსილი არ არის, საკუთარი ინიციატივით განახორციელოს პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებები, მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (მუხლი 68, ნაწილი 2). 	<ul style="list-style-type: none"> • დაზარალებულის სტატუსს პირს ანიჭებს პროკურორი (მუხლი 56, ნაწილი 5); • პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (მუხლი 68, ნაწილი 2).
პირის ბრალდებულად ცნობა და საქმის სასამართლოში წარმართვა	
<ul style="list-style-type: none"> • გამომცემელს უფლება არ აქვს, პირი ცნოს ბრალდებულად. (მუხლი 169, ნაწილი 2); • გამომცემელს არ აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს პირის დაკავების შუამდგომლობით; (მუხლი 171, ნაწილი 1); • გამომცემელს უფლება არ აქვს, მონაწილეთა მიიღოს სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულებების შერჩევაში; • გამომცემელი სასამართლო პროცესზე იკითხება მონაწილის სახით. 	<ul style="list-style-type: none"> • მხოლოდ პროკურორია უფლებამოსილი, პირი ცნოს ბრალდებულად; (მუხლი 169, ნაწილი 2); • პროკურორი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს დაკავების შუამდგომლობით (მუხლი 171, ნაწილი 1); • პროკურორი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა მტკიცებულებები წარადგინოს სასამართლოში; • პროკურორს უფლება აქვს, ბრალდებულის მიმართ გამოიყენოს განრიდების/მედიაციის მექანიზმი, ან გააფორმოს მასთან საპროცესო შეთანხმება (მუხლი 168¹, 210).

რეფორმის შემდგომ არსებული მდგომარეობა	
ინსტიტუციური მოწესრიგება:	
<ul style="list-style-type: none"> • საპროცესო კოდექსით განისაზღვრება საგამოძიებო სამსახურის უფროსის სტატუსი და მას მიენიჭება გამოძიებაზე უშუალო ხელმძღვანელობის უფლებამოსილება; • სამსახურის უფროსი უფლებამოსილი იქნება, გამოძიების ფარგლებში სავალდებულო მითითებება მისცეს გამოძიებელს, შეცვალოს მისი გადაწყვეტილება, საქმე ჩამოართვას ერთ გამოძიებელს და გამოსაძიებლად გადასცეს მეორეს, განიხილოს გამოძიებლის ქმედებების მართლზომიერებასთან დაკავშირებული საჩივრები; • გამოძიებელი და საგამოძიებო სამსახურის უფროსი არ უნდა მიიჩნეოდნენ ბრალდების მხარედ; • პროკურორი კვლავაც განახორციელებს გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობას გამოძიების კანონიერების კონტროლის მიზნით. 	
პროკურორის და გამოძიებლის კომპეტენციები	
გამომძიებელი	პროკურორი
გამომძიებლის დანაშაულისთვის კვალიფიკაციის მინიჭება	
<ul style="list-style-type: none"> • გამოძიებელი ვალდებულია, მის საგამოძიებო ქვემდებარებაში არსებულ დანაშაულზე ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება; • გამოძიებელი თავად წყვეტს, რა კვალიფიკაცია მიანიჭოს ქმედებას, თუმცა საგამოძიებო სამსახურის უფროსს შეუძლია აღნიშნული გადაწყვეტილების შეცვლა; • გამოძიებელი გამოძიების დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ, აცნობებს პროკურორს; • გამოძიებელს არ აქვს გამოძიების შეწყვეტის უფლებამოსილება. 	<ul style="list-style-type: none"> • პროკურატურა არ არის გამოძიების განხორციელებაზე უფლებამოსილი ორგანო; • საქართველოს მთავარ პროკურორს, გამონაკლის შემთხვევებში, უფლება აქვს, შესაბამისი დასაბუთებული გადაწყვეტილებით, საქმე ერთი საგამოძიებო ორგანოდან გამოსაძიებლად გადასცეს სხვა სამსახურს, თუნდაც ამით დაირღვეს საგამოძიებო ქვემდებარეობის წესები. აღნიშნული გადაწყვეტილება საქმის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს; • საქმის პროკურორს უფლება არა აქვს, საქმე ჩამოართვას ერთ გამოძიებელს და გადასცეს მეორეს; • პროკურორი უფლებამოსილია, გამოძიებლის შუამდგომლობის საფუძველზე, შეწყვიტოს გამოძიება.

გამომძიებლის და პროკურორის უფლება-მოვალეობები გამოძიების პროცესში	
<ul style="list-style-type: none"> • გამომძიებელი მოიპოვებს როგორც გამამართლებელ, ასევე გამამტყუნებელ მტკიცებულებებს; • გამომძიებელს უფლება აქვს, საკუთარი ინიციატივით ჩაატაროს ყველა საგამოძიებო მოქმედება, გარდა იმ მოქმედებებისა, რომლებიც ზღუდავს პირის კონსტიტუციურ უფლებებს და საჭიროებს სასამართლოს განჩინებას; • საგამოძიებო სამსახურის უფროსი ხელმძღვანელობს გამოძიების პროცესს, რომლის ფარგლებშიც ის უფლებამოსილია, სავალდებულო მითითებები მისცეს გამომძიებელს, საქმის გამოძიებას ჩამოაშოროს კონკრეტული გამომძიებელი და მისი გამოძიება დაავალოს სხვა გამომძიებელს; • გამომძიებელი უფლებამოსილია, იმ საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარების მიზნით, რომლებიც საჭიროებს სასამართლოს განჩინებას, მიმართოს პროკურორს. 	<ul style="list-style-type: none"> • პროკურორი ახორციელებს გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს გამოძიების/ცალკეული საგამოძიებო ღონისძიებების კანონიერება; • კონკრეტული პროკურორი არ სარგებლობს გამომძიებლის სტატუსით და არ არის უფლებამოსილი, უშუალოდ განახორციელოს საგამოძიებო მოქმედებები; • პროკურორი უფლებამოსილია, ელექტრონული პროგრამის მეშვეობით თვალის ადევნოს გამოძიების მიმდინარეობას; • პროკურორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შუამდგომლობით, რომელიც იწვევს პირის კონსტიტუციურ უფლებებში ჩარევას;* • თუკი პროკურორი თვლის, რომ არ არსებობს სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის საფუძველი, პროკურორის უარი სასამართლოსთვის მიმართვაზე უნდა დასაბუთდეს წერილობით და აისახოს სისხლის სამართლის საქმეში; • გამომძიებელს უფლება აქვს, ერთჯერადად, ზემდგომ პროკურორთან გაასაჩივროს პროკურორის უარი, სასამართლოს შუამდგომლობით მიმართვის თაობაზე; • პროკურორი უფლებამოსილია განიხილოს საჩივარი გამომძიებლის მოქმედების კანონიერებასთან დაკავშირებით; • პროკურორს უფლებამოსილია, გააუქმოს გამომძიებლის კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება.

პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვა	
<ul style="list-style-type: none"> გამომძიებელი უფლებამოსილი არ არის, დანაშაულის მსხვერპლს მიანიჭოს დაზარალებულის სტატუსი. 	<ul style="list-style-type: none"> დაზარალებულის სტატუსს პირს ანიჭებს პროკურორი; პროკურორი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას პირის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების თაობაზე.
პირის ბრალდებულად ცნობა და საქმის სასამართლოში წარმართვა	
<ul style="list-style-type: none"> გამომძიებელს უფლება არ აქვს, პირი ცნოს ბრალდებულად, ან მიმართოს სასამართლოს პირის დაკავების შუამდგომლობით; გამომძიებელი არ მონაწილეობს სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულებების შერჩევაში; გამომძიებელი სასამართლო პროცესზე იკითხება მოწმის სახით; გამომძიებელი არ მონაწილეობს მხარისთვის მტკიცებულებათა გაცვლის პროცესში. 	<ul style="list-style-type: none"> მხოლოდ პროკურორია უფლებამოსილი, პირი ცნოს ბრალდებულად; პროკურორი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა მტკიცებულებები წარადგინოს სასამართლოში; პროკურორი ვალდებულია, დაცვის მხარეს გაუცვალოს მის ხელთ არსებული მტკიცებულებები, მათ შორის გამამართლებელი, ან ბრალდების შემამსუბუქებელი მტკიცებულებები; პროკურორს უფლება აქვს, ბრალდებულის მიმართ გამოიყენოს განრიდების/მედიაციის მექანიზმი, ან გააფორმოს მასთან საპროცესო შეთანხმება.

* შეჯიბრებითი მოდელი იცნობს აღნიშნული საკითხის განსხვავებულ რეგულირებასაც. მაგალითად, უელისის კანონმდებლობით, კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შუამდგომლობით სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით სარგებლობს უშუალოდ გამოძიების მწარმოებელი პირი, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში კი ზემდგომი თანამდებობის პირი. აშშ-ს კანონმდებლობით, სასამართლოს უმეტესწილად შუამდგომლობით მიმართავს პროკურორი. აშშ-ს ფარგლებში, იმ იურისდიქციებშიც კი, სადაც ამ უფლებამოსილებით სარგებლობს გამომძიებელი, სავალდებულოა სასამართლოსადმი მიმართვამდე შუამდგომლობა შეისწავლოს პროკურორმა. პროკურორი ამ შემთხვევაში განიხილავს, სასამართლოსადმი მიმართვისთვის რამდენად არის დაკმაყოფილებული შუამდგომლობის სრულყოფილების, სიზუსტის და კანონიერების ტესტი.